პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოდის 41-ე წელი | № 80 (11994) | ხუთშაბათი, 6 აპრილი, 1961 წ. | ფასი 2 კაპ.

უფრო ახლოს ცხოვრებასთან

კომუნიზმი ძლევამოსილად მკვიდრდება ჩვენს ცხოვრებაში. ჩვენი ხალხის შემოქმედებითი გენიით, რომელსაც კომუნისტური პარტია ხელმძღვანელობს, იქმნება ახალი საზოგადოების მძლავრი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. მისი შექმნის წარმატება დიდად არის დამოკიდებული მილიონიანი მასების შეგნებულობასა და აქტივობის დონეზე.

კომუნისტური მომავლის ადამიანის ჩამოყალიბება, კაპიტალიზმის გადმონაშთების აღმოფხვრა ადამიანთა შეგნებაში ამჟამად ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა. ეს ამოცანა შეიძლება წარმატებით გადაიჭრას და გადაიჭრება მხოლოდ შრომითი საქმიანობის პროცესში, კომუნიზმისათვის ბრძოლის მსვლელობაში, მარად ცოცხალი, ყოველისშემძლე მარქსიზმ-ლენინიზმის მოძღვრების იდეურ საფუძველზე.

მშრომელთა კომუნისტურად აღზრდის საქმეში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გაძავრცელებელ საზოგადოებას. თავისი არსებობის მანძილზე საზოგადოება გადაიქცა მძლავრ კულტურულ-საგანმანათლებლო ორგანიზაციად და დიდ როლს ასრულებს ჩვენი ხალხის იდეურ და კულტურულ ცხოვრებაში.

საქართველოში ადრევე შეიქმნა ხალხში ცოდნის გავრცელების სახელოვანი ტრადიციები, რომლებსაც სათავეში ედგნენ და ნერგავდნენ ჩვენი ერის სახელგანოვანი შვილები. შემოქმედებითად იყენებს რა ამ მდიდარ გამოცდილებას, საზოგადოების რიგებში გაერთიანებული ქართველი მეცნიერების, ინტელიგენციის მოწინავე ნაწილის ათი-ათასიანი არმია რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელობითა და დახმარებით წარმატებით წყვეტს მის წინაშე დასმულ ამოცანას — გავხადოთ თვითეული ადამიანი კულტურული, განათლებული.

ამას წინათ გაიმართა საქართველოს სსრ მეცნიერული და პოლიტიკური ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოების IV ყრილობა. ყრილობაზე აღინიშნა, რომ საანგარიშო პერიოდში საგრძნობლად გაუმჯობესდა საზოგადოების მუშაობა, ამაღლდა ლექციური პროპაგანდის ხარისხი, ფართოდ იყო გამოყენებული ლექციურ-პროპაგანდისტული მუშაობის ისეთი ფორმები, როგორიც არის თეორიული და სამეცნიერო კონფერენციები, გამსვლელი სესიები. ლექციების ციკლები, თემატური და კითხვა-პასუხის საღამოები, ლექტორთა ბრიგადების გაგზავნა ადგილებზე და შეხვედრები მოწინავე ადამიანებთან. მუშაობის კარგ მაგალითს იძლევიან საზოგადოების აჭარისა და აუხაზეთის საოლქო განყოფილებანი, ქუთაისის, გორის, რუსთავის საქალაქო, ზუგდიდის, თელავის, მახარაძის, ვანის და სხვა რაიონული განყოფილებანი.

ამასთან ერთად ყრილობაზე აღინიშნა, რომ სუსტად მუშაობენ დმანისის, ლენტეხის, თიანეთის, საჩხერის განყოფილებანი, რომ არადამაკმაყოფილებლად წარმოეს მეცნიერულ-ტექნიკური ცოდნის პროპაგანდა ახალქალაქის, ადიგენის, დუშეთის, ლენტეხის, ცაგერის და ზოგიერთ სხვა რაიონში. საზოგადოების წევრები ჯერ კიდევ ნაკლებად კითხულობენ ლექციებს მაღალმთიან რაიონებში, ლექტორების ნაწილი ლექციების წაკითხვის გეოგრაფიას გეგმავს ცენტრალური მაგისტრალების მიხედვით.

ყრილობაზე ითქვა, რომ საზოგადოების მუშაობის ძირითადი ნაკლი იმაში მდგომარეობს, რომ ჯერ კიდევ ბევრი ლექციისა და ბროშურის მეცნიერული შინაარსი მკიდროდ არ არის დაკავშირებული ცხოვრებასთან, კომუნიზმის მშენებლობის ყოველდღიურ პრაქტიკასთან.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმის გადწყვეტილებანი დიდ ამოცანებს უსახავს საზოგადოების თვითეულ წევრს. მოწოდებამ — გეზი შუქურებზე! — ცენტრალური ადგილი უნდა დაიკავოს საზოგადოების წევრთა საქმიანობაში. ჩვენს რესპუბლიკაში მრავლად არიან შუქურები, რომელთა გამოცდილების დანერგვა, ფართო მასების კუთვნილებად მისი გადაქცევა საზოგადოების ყოველი წევრის საპატიო და ღვაწლი საქმეა.

განვამტკიცოთ ცხოვრებასთან საზოგადოების მუშაობის კავშირი — ეს ნიშნავს დავეუძლოთ ჩვენს საბჭოთა სინამდვილეს, კომუნისტური სულისკვეთებით ადამიანთა აღზრდის ამ გადამწყვეტ საფუძველს, პირველ რიგში წამოვწიოთ აქტიურები, საჭირბოროტო საკითხები, მთელი ყურადღება მივაქციოთ ძირითად საკითხს — მასების შრომითს აღზრდას. რადგან შრომაში იქმნება ახალი კომუნისტური მომავლის ადამიანი.

ახლა მთელი იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობის მთავარი მიმართულება ის არის, რომ დავრაზმოთ მასები შვიდწლიანი გეგმის წარმატებით განხორციელებისათვის, აღვზარდოთ კომუნიზმისათვის აქტიური და მამაცი მებრძოლები. საჭიროა თანმიმდევრულად ვიბრძოლოთ იმისათვის, რომ განუხრელად სრულდებოდეს პრინციპი „ვინც არ მუშაობს — ის არც ჭამს“. სასტიკი ბრძოლა გამოვუცხადოთ მუქთახორობასა და ზარაფცებს, იმათ, ვინც ეწევა პარაზიტულ ცხოვრებას, ვინც გამდიდრებისაღმი მიხეფრაფებით არის დაავადებული და თავისი მოქმედებით უცხოა, მტერია ჩვენი წყობილებისა.

საზოგადოების მუშაობაში უმნიშვნელოვანესი ადგილი უნდა დაიკავოს საბჭოთა კავშირის ლენინური მშვიდობიმოყვარული საგარეო პოლიტიკის ღრმა და ყოველმხრივმა განმარტებამ. ამასთან ერთად უნდა ვამხილოთ იმპერიალიზმი, მისი ძირმომპალი ეკონომიური საფუძვლები, კაცთმოძულეობის იდეოლოგია, მისი მახინჯი ზნე-ჩვეულებანი და ხრწნადი კულტურა.

ამჟამად საზოგადოებას მთელი მუშაობა უნდა მიმდინარეობდეს სკკპ XXII ყრილობისათვის მზადების ნიშნით. ფართო პროპაგანდა გავუწიოთ საქართველოს მშრომელთა ვალდებულებებს, რომლებიც მათ იკისრეს ამ ისტორიული მოვლენის აღსანიშნავად. გულდასმით გავაცნოთ თვითეულ მშრომელს სკკპ ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმის, ამერიკაკასიის რესპუბლიკების სოფლის მეურნეობის მოწინავეთა თათბირის მასალები და ყველა ღონისძიება განვახორციელოთ იმისათვის, რომ რესპუბლიკის მშრომელებმა პირნათლად გაანაღდონ შვიდწლედის მესამე წლისათვის აღებული ვალდებულებანი.

როდესაც ვლაპარაკობთ საზოგადოების მუშაობის ამოცანებზე, ლექციური პროპაგანდის იდეური დონის ამაღლებაზე, მისი რიგების ორგანიზაციულ განმტკიცებაზე თუ მის მუშაობაში საზოგადოებრივი საწყისების გაძლიერებაზე, ყოველთვის მხედველობაში გვაქვს იდეოლოგიური მუშაობის ამ უბნისადმი პარტიული ხელმძღვანელობის და დახმარების მნიშვნელობა. პარტიულია ორგანიზაციებმა საზოგადოების მუშაობა უნდა განხილონ როგორც მათი მუშაობის შემადგენელი ნაწილი. საჭიროა ისინი სისტემატურად ეცნობოდნენ საზოგადოების გეგმებს, ზრუნავდნენ ლექტორთა კადრების შერჩევისათვის, ადგილობრივი ჯგუფების მუშაობის გაუმჯობესებისათვის.

საბჭოთა ინტელიგენცია ხალხში პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გავრცელებით დიდ საქმეს ეწევა. მის მოღვაწეობაში პრაქტიკულად ჩანს კომუნისტური დამოკიდებულება შრომისა და საზოგადოებისადმი. ამიტომაც საჭიროა ამ დიდმა საქმემ კიდევ უფრო ფართო გაკაბანება მიიღოს და ამაღლდეს თანამედროვე ამოცანების დონემდე.

სკკპ XXII და საქართველოს კომპარტიის XXI ყრილობების შესახვედრად

★ ★ ★

გუშინ მინდვრად

წითელწყაროს სოფელ ზემო ქედის ი. ბ. სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში მექანიზატორმა **ნიკოლოზ ქავთარაძემ** და მთესავმა **შოთა წიკლაურმა** კვადრატულ-ბუდობრივად სიმინდი დათესეს 15 ჰექტარზე ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 8 ჰექტარისა. დღემდე მათ კვადრატულ-ბუდობრივად სიმინდი დათესილი აქვთ 200 ჰექტარზე.

ამავე კოლმეურნეობაში მექანიზატორმა **ვალიკო ბუბულურმა** პროგრესული მეთოდით სიმინდი დათესა 14 ჰექტარზე.

საგარეჯო რაიონის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა გუშინ სიმინდი დათესეს 225 ჰექტარზე, აქედან კვადრატულ-ბუდობრივად 69 ჰექტარზე. სოფელ კაკაბეთის XXI პარტყრილობის სახელობის კოლმეურნეობაში მექანიზატორმა **ყარამან ჯიმშელაძემ** სიმინდი მწკრივად დათესა 17 ჰექტარზე გეგმით გათვალისწინებული 12 ჰექტარის ნაცვლად, **ზაქარია ვარდიაშვილმა** — 15 ჰექტარზე.

სოფელ ბოგდანოვკის ი. ბ. სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში მექანიზატორმა **ივანე უშაკოვმა** სიმინდი კვადრატულ-ბუდობრივად დათესა 12 ჰექტარზე ნაცვლად 8 ჰექტარისა.

ლანჩხუთი სოფელ ჭანჭათის კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ნ. ღლონტი) სულ დათესილია 30 ჰექტარი. ერთ დღეს დათესეს 10 ჰექტარი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 8 ჰექტარისა. ქვემო აკეთის კოლმეურნეობაში დაწინაურდა კომუნისტური შრომის ბრიგადა, რომელსაც **ვალერიან მორჩილაძე** ხელმძღვანელობს. ბრიგადამ დათესა სამი ჰექტარი სიმინდი ნაცვლად ორი ჰექტარისა.

საჭიროა წინსვლა, საჭიროა წინ ვიხელმძღვანელოთ, საჭიროა ყრილობაზე მოვიტანოთ სამეურნეო მუშაობის კარგად მოფიქრებული და ყურადღებით, პარტიის ყველა წევრის საერთო შრომით, საერთო ძალღონით გადამუშავებული პრაქტიკული გამოცდილება.

ვ. ი. ლენინი. თხზ., ტ. 30 გვ. 488.

სიმინდი დათესილია 3.336 ჰექტარზე

შარშანდელთან შედარებით წელს უფრო ადრე დაიწყო სიმინდის თესვა. 1 აპრილისათვის რესპუბლიკაში დათესილი იყო 3.336 ჰექტარი სიმინდი, შარშან ამავე პერიოდისათვის კი 421 ჰექტარი.

წითელწყაროს რაიონში დათესა 1.097 ჰექტარი სიმინდი, მარნეულის — 807, სოლნალის — 488, გურჯაანის — 309, ბოლნისის — 220, ლაგოდეხის — 160, საგარეჯოს — 180 ჰექტარი. თესვას შეუდგნენ გორის, თელავის, ახმეტის, ყვარლის, ფოლუქიძის, ვანის, ბებეთაურის, ცალკიანას, ზუგდიდის, გალის, ჩოხატაურის და სხვა რაიონები.

ამ დღეებში სიმინდის თესვა მასობრივად გაჩაღდება.

ჩვენი ინტერვიუ — სიმინდს თესავს

გურჯაანის რაიონში ბევრი კარგი მესიმინდეა. შარშან უხვი მოსავლის მოყვანაში თავი ჩაახელეს სოფელ ჩუმლაყის კალინინის სახელობის კოლმეურნეობის მესიმინდეებმა. 190 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე 69 ცენტნერი სიმინდი მიიღეს. მაგრამ მიღწეულს ვინ სჯერდება, გადაწყვიტეს წელს საშუალოდ ჰექტარზე მოიყვანონ 75 ცენტნერი სიმინდი, ხოლო 220 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე — 100 ცენტნერი.

დ. მღებრიშვილი

უფრო გაზრდილი ვალდებულება იკისრა ბრიგადამ, რომელსაც დ. მღებრიშვილი ხელმძღვანელობს. ბრიგადამ გადაწყვიტა 25 ჰექტარი ფართობის ყოველ ჰექტარზე მიიღოს 110 ცენტნერი სიმინდი მარცვლად, დანარჩენ 28 ჰექტარზე — 75 ცენტნერი. 50 ჰექტარ ნაწვერალზე დათესავენ სიმინდს და ამ ნათესის ათი ჰექტარის ყოველ ჰექტარზე მოიყვანენ 35 ცენტნერ სიმინდს.

— რა საშუალებით ფიქრობთ ამ ვალდებულებების შესრულებას? — **„კომუნისტის“** რედაქციამ ამ კითხვით მიმართა ბრიგადის ხელმძღვანელს დ. მღებრიშვილს, რომელმაც გვიპასუხა:

—სასიმინდე ნაკვეთი მზრალად მოვხანით. გაზაფხულზე თესვის დაწყებამდე მთელ ფართობზე დამატებით შევიტანეთ ნაკელი და 39 ტონა მინერალური სასუქი. ჩავატარეთ აოშვა, შემდეგ კი მიწა გადავხანით. თესვისათვის მიწის ასეთმა მომზადებამ მინიმუმამდე შეამცირა სარეველა ბალახები ნაკვეთში.

მაღალხარისხოვანი თესლი მოვიმარაგეთ და სრულ კონდიციამდე ავიყვანეთ. თესვას მომზადებული შევხვდით.

გუშინ შევუდექით სიმინდის თესვას. პირველ დღეს 7 ჰექტარი კვადრატულ-ბუდობრივად დავთესეთ. კვადრატები საუკეთესოა. ჰექტარზე შევინარჩუნებთ 40 ათას მცენარეს. მოვაწყობთ მთელი ფართობის ხელოვნურ დამტვერიანებას, რაც 4-5 ცენტნერით და უფრო მეტით გაზრდის. მოსავლიანობას.

* * *

სურათზე: დ. მღებრიშვილი.

ნ. ს. ხრუშჩოვმა მიიღო

ავღანეთის პრემიერ-მინისტრი მ. დაუდი

5 აპრილს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ს. ხრუშჩოვმა კრემლში მიიღო ავღანეთის პრემიერ-მინისტრი მისი უმაღლესობა სარდარ მუჰამედ დაუდი და საუბარი ჰქონდა მასთან. საუბრის დროს განიხილეს საერთაშორისო მდგომარეობის საკითხები, რომლებიც ორივე მხარეს აინტერესებს, აგრეთვე საბჭოთა კავშირსა და ავღანეთს შორის არსებული მეგობრული კეთილმეზობლური ურთიერთობის შემდგომი განვითარებისა და განმტკიცების საკითხები.

საუბარი გულითად მეგობრულ ვითარებაში მიმდინარეობდა.

საუბარს დაესწრნენ: საბჭოთა კავშირის მხრივ — სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ვ. ს. სემიონოვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს შუა აღმოსავლეთის ქვეყნების განყოფილების გამგე ა. პ. პავლოვი; ავღანეთის მხრივ — ავღანეთის, ელჩი სსრ კავშირში აბდულ ჰაქმ შაჰალამი. (საკდესი).

მუჰამედ დაუდის პატივსაცემად

5 აპრილს სსრ კავშირის მთავრობამ კრემლის დიდ სასახლეში საუზმე გამართა ავღანეთის პრემიერ-მინისტრის მისი უმაღლესობის სარდარ მუჰამედ დაუდის პატივსაცემად, რომელიც საბჭოთა კავშირში იმყოფება.

მუჰამედ დაუდთან და მის მეუღლესთან ერთად საუზმეზე იყვნენ: დაგეგმვის მინისტრის მოადგილე აბდულ ჰაი აზიზი და სხვა თანმხლები პირები, აგრეთვე ავღანეთის ელჩი სსრ კავშირში აბდულ ჰაქმ შაჰალამი, ავღანეთის სამხედრო ატაშე გენერალ-ლეიტენანტი ა. რ. მაიანდი, ავღანეთის მოსკოვის საელჩოს პირველი მდივანი გ. მ. ნეჭზადი და სხვა პასუხისმგებელი თანამშრომლები.

საბჭოთა კავშირის მხრივ საუზმეზე იყვნენ: სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ს. ხრუშჩოვი მეუღლითურთ, ფ. რ. კოზლოვი, ა. ნ. კოსიგინი, ნ. ა. მუხიტდინოვი, ე. ა. ფურცევა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ვ. ნ. ნოვიკოვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო მეუღლითურთ, სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრი რ. ი. მალინოვსკი, სსრ კავშირის საგარეო ვაჭრობის მინისტრი ნ. ს. პატოლიჩევი, საბელმწიფო კომიტეტების თავმჯდომარეები ს. ა. სკაჩკოვი, ა. ნ. შელეპინი, სსრ კავშირის მინისტრების მოადგილეები ვ. ს. სემიონოვი, ვ. ტ. ფედოროვი, მოსკოვის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ს. მ. ბუტუსოვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს განყოფილებათა გამგეები ა. პ. პავლოვი, მ. ა. ხარლამოვი და სხვა ოფიციალური პირები.

საუზმის დროს, რომელმაც გულთბილ, მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა, ნ. ს. ხრუშჩოვმა და მუჰამედ დაუდმა მისასალმებელი სიტყვებით მიმართეს ერთმანეთს. (საკდესი).

სკკპ დელეგაცია ინდოეთის კომპარტიის VI ყრილობაზე გაემგზავრა

4 აპრილს მოსკოვიდან ინდოეთის კომუნისტური პარტიის VI ყრილობაზე გაემგზავრა სკკპ დელეგაცია, რომლის შემადგენლობაში არიან სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი **ამბ. მ. ა. სუსლოვი** (დელეგაციის მეთაური) და სკკპ ცენტრალური კომიტეტის განყოფილების გამგის მოადგილე **ამბ. დ. პ. შევლიაგინი.**

დელი, 5 აპრილი. (საკდესი). დღეს დელიში ჩამოვიდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დელეგაცია, რომლის შემადგენლობაში არიან სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი მ. ა. სუსლოვი და სკკპ ცენტრალური კომიტეტის განყოფილების გამგის მოადგილე დ. პ. შევლიაგინი.

პალამის აეროდრომზე სკკპ დელეგაციას შეხვდნენ ინდოეთის კომუნისტური პარტიის ეროვნული საბჭოს წევრები, პარლამენტის კომუნისტური ფრაქციის დეპუტატები. სკკპ დელეგაციას შეხვდნენ აგრეთვე სსრ კავშირის ელჩი ინდოეთში ი. ა. ბენედიქტოვი და საბჭოთა საელჩოს პასუხისმგებელი თანამშრომლები, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის, პოლონეთის, ჩეხოსლოვაკიის, ბულგარეთის ელჩები.

ამავე თვითმფრინავით ინდოეთის კომუნისტური პარტიის ყრილობაზე ჩამოვიდა ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის დელეგაცია, ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრის ვაცლავ სლავიკის მეთაურობით.



ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐ ᲓᲔᲚᲔᲒᲐᲪᲘᲐ ᲒᲐᲭᲝᲨᲘ

ბაკო, 5 აპრილი. (საკდესის სპეცკორ.). დღეს აქ საბჭოთა საქართველოს 40 წლისთავის მომავალ ზეიმთან დაკავშირებით ჩამოვიდა თბილისის მშრომელთა დელეგაცია. ბაქოელები გულთბილად შეხვდნენ ძვირფას სტუმრებს.

ბაგზალში შეიკრიბნენ ქალაქის საზოგადოებრივობის წარმომადგენლები, პარტიული, საბჭოთა და კომკავშირული მუშაკები. დამხვდურთა შორის იყვნენ პარტიის ბაქოს საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ტ. ალაჰვერდიევი, ბაქოს საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ა. ლენბერანსკი, აზერბაიჯანის ს. კიროვის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი აკადემიკოსი შ. მუსთიევი და სხვები.

დელეგაციის შემადგენლობაში არიან: თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ა. მელაძე, თბილისის სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი აკადემიკოსი ე. ხარაძე, პარტიის ლენინის რაიკომის პირველი მდივანი შ. დოლიძე, მწერალი კ. ლორთქიფანიძე, თბილისის № 1 ფეხსაცმლის ფაბრიკის მუშა ლ. დავითაძე.

თბილისელი სტუმრები აზერბაიჯანის დედაქალაქში სამ დღეს დარჩებიან.

პირველი ხემენტი

ტალინი, 5 აპრილი. (საკდესი). დღეს პირველი ტონა ცემენტი გამოუშვა ესტონეთის უდიდესმა ახალშენებლობამ — ქარხანა „პუნანე კუნდამ“. წარმატებით დამთავრდა მთელი საწარმოო ციკლის — ცემენტის ღუმელის, წისქვილების, სილოსების სამრეწველო გამოცდა. ნაგებობის პირველი რიგი ყოველწლიურად გამოუშვებს 300 ათას ტონა ამ ძვირფას საშენ მასალას.

წარმოების მეორე ცემენტის ღუმელის მონტაჟი. „პუნანე კუნდამ“ მშენებლებმა იკისრეს ვალდებულება — ვადამდე დაამთავრონ მონტაჟი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXII ყრილობის გახსნის დღისათვის.

სტიქიური უბედურება იაპონიაში

ტოკიო, 5 აპრილი. (საკდესი). უეცარმა დათბობამ იაპონიაში უძლიერესი ქოკისპირული წვიმა და გრიგალისებრი ქარი გამოიწვია, რაც მიზეზი იაპონიის მთელ რიგ ადგილებში მომხდარი სტიქიური უბედურებისა. დღეს დილით კუნძულ ჰოკაიდოზე, დაბა ნიიკაპუში, ძლიერი წვიმის შედეგად წარმოიშვა თოვლის ზვავი ელექტროსადგურის მშენებლობის რაიონში. ზვავმა წაიღო ორი ბარაკი. შენობაში მყოფი 36 მუშიდან 13 კაცი დაიღუპა, ხუთი მძიმედ არის დაჭრილი და ამდენივე უგზოუკვლოდ დაკარგა.

თოვლის ზვავმა ნუკახირის რაიონში (კუნძული ჰოკაიდო), რომელიც აგრეთვე კოკისპირულმა წვიმამ გამოიწვია, დამარხა 17 მუშა. ერთი მათგანი დაიღუპა, თერთმეტის ბედი არ არის ცნობილი.

ჰოკაიდოსა და ჰონსიუს კუნძულებზე ძლიერი წვიმის შედეგად მდინარეებმა ნაპირი გადმოლახეს, რის შედეგადაც წყალში ჩაიძირა ათასობით საცხოვრებელი სახლი. იაპონიის მთელ რიგ რაიონებში გრიგალისებრი ქარის შედეგად, რომლის სიჩქარე 40-60 მეტრია წამში, მთლიანად შეწყდა სარკინიგზო და სხვაგვარი მიმოსვლა.

გააძევეს ვაშინგტონელი ელჩი

ბუენოს-აირესი, 5 აპრილი. (საკდესი). ამერიკის ელჩმა არგენტინაში რუბოტომმა გადაწყვიტა სწავლოდა კორდოვის ეროვნულ უნივერსიტეტს. უნივერსიტეტის ხელმძღვანელებმა საზეიმო შეხვედრა მოუმზადეს. მაგრამ როცა ამერიკის ელჩი ეცნობოდა ლაბორატორიებსა და აუდიტორიებს, მასთან მივიდა სტუდენტთა ჯგუფი და ქალაქის საუნივერსიტეტო ფედერაციის სახელით მოსთხოვა დაუყოვნებლივ დაეტოვებინა უნივერსიტეტის შენობა. სტუდენტები წარმოთქვამდნენ ლოზუნგებს: „გაუმარჯოს ჯუბას!“, „გაუმარჯოს ფიდელ კასტროს“, „ძირს ამერიკის იმპერიალიზმი!“. არგენტინის პრესის ცნობით, სტუდენტებმა ამერიკის დელეგაციას, მის მეთაურს — ამერიკის შეერთებული შტატების ელჩს და უნივერსიტეტის ხელმძღვანელებს დაუშინეს „რაც კი ხელში მოხვდათ“.

ბუენოს ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ ამ ინციდენტთან დაკავშირებით რუბოტომმა გადაწყვიტა აღარ ეწვიოს კათოლიკური უნივერსიტეტს იმის შიშით, რომ იქაც შეიძლება განმეორდეს სტუდენტთა მსგავსი ანტიამერიკული გამოსვლები.

ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲐ ᲡᲞᲔᲥᲢᲐᲙᲚᲘᲡᲐ „ᲥᲐᲠᲗᲚᲘᲡ ᲩᲘᲠᲐᲚᲦᲜᲔᲑᲘ“

ᲒᲣᲨᲘᲜ შოთა რუსთაველის სახელობის დრამატული თეატრის კოლექტივმა წარმოადგინა დრამატურგ ვ. კანდელაკის პიესა „ქართლის ჩირაღდნები“. სპექტაკლი, რომელიც მიძღვნილია საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და საქართველოს კომუნისტური პარტიის შექმნის 40 წლისთავისადმი, დადგა საქართველოს სსრ სახალხო არტისტმა დ. ანთაძემ, მხატვრულად გაფორმა — საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ დ. თავაძემ, მუსიკა ეკუთვნის საქართველოს სსრ სახალხო არტისტს ა. პალანჩიევაძეს.

მაყურებლებმა გულთბილად მიიღეს წარმოდგენა.

სპექტაკლს დაესწრნენ ამხანაგები **ვ. ჭ. მეფანაძე** და **გ. დ. ჯავახიშვილი.** (საკდესი).

ᲐᲛ ᲒᲝᲒᲝᲜᲐᲛ — ᲛᲖᲘᲐ ᲧᲕᲔᲚᲐᲨᲕᲘᲚᲛᲐ — ᲝᲠᲘ ᲬᲚᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲗ ᲓᲐᲐᲛᲗᲐᲕᲠᲐ ᲡᲐᲨᲣᲐᲚᲝ ᲡᲙᲝᲚᲐ. ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲘᲢᲐ ᲔᲛᲣᲨᲐᲕᲜᲔᲚᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲐᲨᲘ. ᲔᲡ ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲘᲢᲘᲚᲔᲑᲐ ᲡᲘᲡᲢᲔᲛᲘᲡ ᲐᲢᲔᲡᲢᲐᲪᲘᲘᲗ ᲛᲘᲕᲘᲓᲐ ᲡᲐᲒᲐᲠᲔᲯᲝᲡ ᲠᲐᲘᲝᲜᲘᲡ ᲛᲣᲨᲐᲠᲗᲐ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲐᲨᲘ.

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲐᲔᲪᲜᲝ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲘᲡ ᲡᲮᲕᲐᲓᲐᲡᲮᲕᲐ ᲓᲠᲒᲡ ᲓᲐ ᲛᲝᲬᲘᲜᲐᲕᲔᲗᲐ ᲒᲐᲛᲝᲪᲓᲘᲚᲔᲑᲐᲡ. ᲡᲣᲚ ᲛᲐᲚᲔ ᲨᲔᲔᲠᲘᲩᲕᲐ ᲨᲠᲝᲛᲐᲡ, ᲓᲐ ᲐᲮᲚᲐ ᲐᲛ ᲙᲝᲛᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲚ ᲒᲝᲒᲝᲜᲐᲡ ᲛᲝᲬᲘᲜᲐᲕᲔᲗᲐ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲐᲮᲐᲮᲚᲔᲑᲘᲡ. ᲘᲒᲘ ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲘᲢᲘᲚᲘᲐ ᲓᲐ ᲐᲛᲐᲪᲘᲚᲘᲐ ᲛᲘᲡᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ, ᲠᲝᲛ ᲬᲔᲚᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲗ ᲓᲐᲐᲛᲗᲐᲕᲠᲐ ᲡᲐᲨᲣᲐᲚᲝ ᲡᲙᲝᲚᲐ. ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲘᲢᲘᲚᲔᲑᲐ ᲔᲛᲣᲨᲐᲕᲜᲔᲚᲘᲐ ᲓᲐ ᲐᲮᲚᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲐᲛᲝᲪᲓᲘᲚᲔᲑᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲘᲡ ᲛᲣᲨᲐᲠᲗᲐ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲐᲨᲘ.

ᲡᲣᲠᲐᲗᲘᲡ ᲛᲘᲦᲔᲑᲘᲗ: ᲛᲝᲬᲘᲜᲐᲕᲔ ᲙᲝᲛᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲚᲘ ᲛᲖᲘᲐ ᲧᲕᲔᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ.

ᲤᲝᲢᲝ Ш. ᲩᲘᲩᲘᲐᲜᲘᲡᲐ.

1961 წ. 7 აპრილს მოწვეულია საქართველოს სსრ უმაღლესი სკოლის მუშაკთა რესპუბლიკური თათბირი შემდეგი დღის წესრიგით:

უმაღლესი სასწავლებლების მუშაობის გარდაქმნის მიმდინარეობა ცხოვრებასთან სკოლის კავშირის განმტკიცებისა და სახალხო განათლების სისტემის შემდგომი განვითარების კანონის შესაბამისად.

თათბირი გაიხსნება დილის 11 საათზე, ძერჟინსკის სახელობის კლუბში (ბესიკის ქ. № 4).

სოფლის პარტორგანიზაცია — საქმის სულიდა გული

ამ დღეებში, როცა ჩვენი რესპუბლიკის მშრომელები მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად პრაქტიკულად ახორციელებენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმის გადაწყვეტილებებს და ემზადებიან სკკპ XXII და საქართველოს კომპარტიის XXI ყრილოგების ღირსეული შეხვედრისათვის, ამ საყოველთაო-სახალხო შრომაში თავიანთი წვლილი შეაქვთ ლანჩხუთის რაიონის მშრომელებსაც.

პირველადი პარტიული ორგანიზაციის მდივნის ჭრიბუნა

სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების გადიდებისათვის ლანჩხუთელთა ბრძოლას სათავეში უდგანან პირველადი საკოლმეურნეო პარტიული ორგანიზაციები. მათი ამოცანაა ყოველი ღონისძიებით განავითარონ მასების შემოქმედებითი აქტივობა, განამტკიცონ მეურნეობის საფუძველი, განუხრელად იბრძოლონ სოფლის მშრომელთა ნაკისრი ვალდებულებების გადაბარებით შესრულებისათვის.

იმისათვის, რომ ამაღლდეს სასოფლო პირველადი პარტიული ორგანიზაციების ბრძოლისუნარიანობა, პრაქტიკული დახმარება გაეწიოთ მათ საპატიო და პასუხსაგები მოვალეობის შესასრულებაში, გაზეთ „კომუნისტის“ რედაქციამ საქართველოს კპ ლანჩხუთის რაიკომთან ერთად ამ დღეებში მოაწყო ლანჩხუთის რაიონის პირველადი პარტიული ორგანიზაციების მდივნების თათბირი.

თათბირზე აღინიშნა ის მუშაობა, რასაც ამჟამად რაიონის სასოფლო პირველადი პარტიული ორგანიზაციები ეწევიან, აგრეთვე ის, თუ რას ფიქრობენ ისინი მომავლისათვის. თათბირზე წამოყენებულ იქნა ბევრი საყურადღებო წინადადება.

ქვემოთ ვაქვეყნებთ თათბირის მასალებს.

გამოცდილების გაზიარება, დახმარება — მთავარია

ახლა, როცა სოფლის კომუნისტების წინაშე უდიდესი პასუხსაგები ამოცანები დგას, როცა სასოფლო პირველადი პარტიული ორგანიზაციები გრანდიოზულ მუშაობას ეწევიან შეიდწლედის დიადი გეგმების ვადამდე და გადაჭარბებით შესრულებისათვის მშრომელთა მობილიზაციის საქმეში, უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება იმას, თუ რა უკეთეს ფორმასა და მეთოდს გამოიყენებენ ისინი მთელ თავიანთ მუშაობაში, რას გააკეთებენ იმისათვის, რომ ადგილებზე უფრო ცოცხლად და პრაქტიკულად უხელმძღვანელონ მეურნეობას.

— პარტიული მუშაობა შემოქმედებითი საქმეა, თქვეს თათბირზე, — ამიტომ საჭიროა ყოველთვის ვეძებდეთ ახალს, უფრო საინტერესოსა და მიზანსწრაფულს. ჩვენს რესპუბლიკაში, ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა ოლქებში ცოტა როდია ისეთი საკოლმეურნეო პირველადი პარტორგანიზაცია, რომელმაც პარტიულ-პოლიტიკური და ორგანიზატორული მუშაობის საუკეთესო გამოცდილება შეიძინა და სანიმუშოა. როცა ჯერი მიდგება კოლმეურნეობაზე ან მოწინავე მექანიზატორზე თუ მწველავზე, მათ ხშირად ურჩევენ, გაეცანით ერთმანეთის მუშაობას, ან წადით ამა თუ იმ რაიონში, მისგან ისწავლეთ მეურნეობის გაძღოლაო.

ვფიქრობთ, ცუდი არ იქნება და საქმეს დიდი სარგებლობა ექნება, თუ პარტიული ორგანიზაციების მდივნები, პარტბიუროს წევრები გავეცნობით პარტიული მუშაობის ურთიერთ გამოცდილებას, და თუ სანიმუშო პარტორგანიზაციის შესახებ შევიტყეთ, კარგი იქნება, თუ წავალთ მათთან, რომ ვისწავლოთ.

— კოლმეურნეობებში ბევრგან პარტიული ჯგუფები არაფერს არ აკეთებენ, აღნიშნავენ თათბირის მონაწილენი, — კაცმა რომ თქვას, სანიმუშოდ ვერც ერთ მათგანს ვერ დავასახელებთ. იგივე ითქმის პარტიული კონტროლის კომისიების მუშაობაზეც, რადგან ეს კომისიები საკოლმეურნეო საქმიანობისადმი პარტიული კონტროლის სრულიად ახალ ფორმას წარმოადგენენ და ამ მხრივ გამოცდილებაც ცოტა გვაქვს. და კიდევ ვინ მოთვლის, რამდენი რამ შეგვიძლია ვისწავლოთ სხვა რაიონების პირველადი პარტიული ორგანიზაციების გამოცდილებიდან. **ამიტომ კარგი იქნება, თუ ჩვენი რესპუბლიკური გაზეთი „კომუნისტი“ პარტიულ-პოლიტიკური და ორგანიზატორული მუშაობის ცალკეულ საკითხებზე გამოაქვეყნებს ბევრ საინტერესო მასალას, რაც ხელს შეუწყობს პირველადი სასოფლო პარტორგანიზაციების ბრძოლისუნარიანობის შემდგომ ამაღლებას.**

რაიონული გაზეთის „სოციალისტური შრომის“ რედაქციის პარტიული ცხოვრების განყოფილების გამგემ ე. შევარდნაძემ ილაპარაკა იმ სასარგებლო ინიციატივაზე, რაც გაზეთმა გამოიჩინა პარტიული ცხოვრების საკითხების გაშუქებისას, აგრეთვე იმაზე, თუ რა აქვს გადაწყვეტილი მომავალში რედაქციის კოლექტივს.

— მოწინავე პარტორგანიზაციების გამოცდილება ყველას კუთვნილება გავხადოთ, — ასეთია თათბირის მონაწილეთა გადაწყვეტილება.

ასე ფიქრობენ ლანჩხუთელები

მიმდინარე საბეურნეო წლის ამოცანები, რომლებიც ჩვენი რაიონის წინაშე დგას, იოლი გადასაწყვეტი როდია. წელს სახელმწიფოს წინაშე ვალდებულება ვიკისრეთ 9.300 ტონა ჩაის ფოთოლი მოვკრიფოთ, 6.120 ჰექტარამდე გავადიდოთ სიმინდის ნათესი ფართობები და ჰექტარზე საშუალო მოსავლიანობა 29 ცენტნერამდე ავიყვანოთ, ხოლო 1.600 ჰექტარი ფართობის ყოველ ჰექტარზე მივიღოთ 60 ცენტნერი სიმინდი მარცვლად.

ამ სამეურნეო ამოცანის წარმატებით გადაწყვეტაში მთავარი ის არის, თუ რამდენად გონივრულად და სრულად გამოვიყენებთ ჩვენს რეზერვებს.

საქმის წარმატებას განსაზღვრავს სანიმუშოდ მოწყობილი პარტიულ-პოლიტიკური მუშაობა, თვითეული პარტიული ორგანიზაციის ბრძოლისუნარიანობის ამაღლება, თვითეული კომუნისტის ინიციატივა — იდგეს მასების შემოქმედებითი შრომის სათავეში.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმმა ჩვენგან მოითხოვა ვისწავლოთ მეურნეობის სწორად გაძღოლის ორგანიზაცია. რა თქმა უნდა, ჩვენ ცოტა როდი გვყავს კარგი პარტიული ორგანიზატორები. მათ შესახებ ამ თათბირზე უკვე ითქვა, მაგრამ სამწუხაროა, რომ ჯერ კიდევ ბევრი პარტიული მუშაკი, კომუნისტი უყაირათოდ ეკიდება მეურნეობას, თვალს არიდებს ნაკლოვანებებს.

განა შესაწყნარებელია, რომ მეცხოველეობის ბევრ ფერმაში პროდუქტების წარმოების გეგმები ჩაის შემოსავლის ხარჯზე სრულდება? განა ამას უნდა ითმენდნენ პარტორგანიზაცია, კომუნისტები?

კომუნისტის ღირსების საქმეა არის, რომ ყოველი ღონისძიებით იბრძოლოს მეურნეობის რენტაბელობისათვის, არ დაუშვას არათუ საწარმოო გეგმის შეუსრულებლობა, არამედ უზრუნველყოს, რომ წარმატებით შესრულდეს ნაკისრი ვალდებულება.

აქ ლაპარაკი იყო პარტბიუროს მდივნის, პარტბიუროს წევრების ავტორიტეტზე. ჩვენ, რა თქმა უნდა, არ გვინდა მყვირალა ავტორიტეტი. თვითეული კომუნისტის ავტორიტეტი იმაში მდგომარეობს, თუ რამდენად ბატონ-პატრონია იგი თავისი სიტყვისა, ნაკისრი ვალდებულებისა, თუ რა მაგალითს აძლევს იგი უპარტიო ამხანაგებს შრომაში, თავისი პოლიტიკური ცოდნის დონის ამაღლებაში, ყოფაცხოვრებაში.

პირველადს პარტორგანიზაციებს თავიანთ განკარგულებაში უამრავი საშუალება აქვთ — თვალსაჩინო აგიტაციის მრავალი ფორმა, პოლიტწრეები და პოლიტსკოლები, კედლისა და საველე გაზეთები და სხვ.

უნარიანად იყენებენ ადგილობრივ რადიოკვანძს სოფელ ქვემო აკეთში, სადაც ყოველდღიურად გადასცემენ ახალ-ახალ ცნობებს სასოფლო-სამუშაოების მიმდინარეობის შესახებ.

ჩვენ ბევრი გვაქვს სასაყვედურო კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა მუშაკების მიმართ, რომელთა ლექტორები სოფლად შემთხვევიდან შემთხვევამდე აწყობენ საუბრებს.

სოციალისტური შეჯიბრებისადმი ხელმძღვანელობაში ჩვენთან ბევრჯერ ფორმალიზმს ჰქონდა ადგილი. ბევრს ვლაპარაკობდით ნაკისრ ვალდებულებებზე, მაგრამ ზოგჯერ მათს შესრულებას ვერ ვამოწმებდით. საყვედური გვეთქმის აგრეთვე რესპუბლიკური გაზეთების რედაქციების მიმართ, რომლებიც ცოტას წერდნენ სოციალისტური შეჯიბრების შედეგებზე ცალკეული რაიონების მიხედვით.

კომუნისტის ღირსების საქმეა იყოს სოფლის მეურნეობის პროდუქტების სიუხვისათვის მებრძოლთა პირველ რიგებში.

ყოველთვის, როცა პირველადი პარტიული ორგანიზაციების მდივნები ერთად მოიყრიან ხოლმე თავს, ბევრი აქვთ სალაპარაკო: აინტერესებთ მეზობელი კოლმეურნეობის კომუნისტთა საქმიანობა, საუბრობენ პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის ცალკეულ საკითხებზე, უზიარებენ ერთმანეთს თავიანთი მუშაობის გამოცდილებას.

აი ახლაც, პარტიის ლანჩხუთის რაიკომის პოლიტიკური განათლების სხდომათა დარბაზში პირველადი პარტიული ორგანიზაციების მდივნების ერთი ჯგუფი შეგროვდა. მათ თავიანთი პარტორგანიზაციის აპრილის სამუშაო გეგმას აცნობს სოფელ ჯურყვეთის სასოფლო საბჭოსთან არსებული პირველადი პარტორგანიზაციის მდივანი მარგარიტა კოპახიძე.

ფოტო ბ. გავრილენკოსი.

აგიტაცია უფრო შინაარსიანი რომ გავხადოთ...

ამ გახურებული შრომის დღეებში მუდამ ხალხთან ტრიალებენ პირველადი პარტიული ორგანიზაციების აქტიური თანაშემწეები — აგიტატორები.

ამიტომაც იყო, რომ თათბირზე საგიტაციო მუშაობის მთელმა რიგმა საკითხებმა საქმიანი გამოხმაურება ჰპოვა.

აღინიშნა, რომ აგიტატორების უმრავლესობა ბრიგადებსა და ფერმებში ნაყოფიერად მუშაობს, აწყობს მიმზიდველ და შინაარსიან საუბრებს. მათი საუბრების მთავარი თემებია: „სკკპ ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმის გადაწყვეტილებები“, „სოფლის მეურნეობის მოწინავეთა ზონალური თათბირები და ამ თათბირებზე ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის გამოსვლები“, „ეიშრომოთ და გეცხოვროთ კომუნისტურად“, „როგორ შევამციროთ პროდუქტების თვითღირებულება“, „სოფლის შუქურები“. „ვებრძოლოთ ლოთობას, ხულიგნობას, სპეკულაციას“ და სხვ.

სოციალისტური შეჯიბრების ორგანიზატორები, აგიტატორები პირადი შრომის მაგალითით აღაფრთოვანებენ კოლმეურნეებს, რაზმავენ მათ ნაკისრ ვალდებულებების წარმატებით შესასრულებლად.

მაგრამ ორატორებმა ხაზი გაუსვეს იმასაც, რომ ზოგიერთ ბრიგადასა და რგოლში აგიტატორები სისტემატურად არ აწყობენ საუბრებს ან მხოლოდ გაზეთების წაკითხვას სჯერდებიან, არ უკავშირებენ თავიანთ საუბრებს ცალეული ბრიგადების, რგოლების წინაშე მდგომ კონკრეტულ სამეურნეო ამოცანებს.

ხშირად კი ასეც ხდება.

აი აგიტატორმა ბრიგადაში მოაწყო საუბარი შრომის დისციპლინის განმტკიცების საკითხზე. იგი გატაცებით ლაპარაკობს შრომის სიყვარულზე, მოწინავე კოლმეურნეთა საამაყო მაჩვენებლებიც დასახელა, მკაცრად გაკიცხა აგრეთვე ამ ბრიგადის ზარმაცი წევრები. ერთი სიტყვით, ამ საუბარს თითქოს არაფერი არ აკლია. მაგრამ საქმე იმაშია, რომ ასეთ საუბრებს არ ესწრებიან ხოლმე სწორედ ისინი, რომლებიც შრომის დისციპლინას არღვევენ. ასეთები რომ აღვზარდოთ და შრომაში ჩავაბათ, უნდა მივაღწიოთ კიდეც სააგიტაციო საუბრებზე მათს დასწრებას. საჭიროა აგიტატორმა მათთან ინდივიდუალური მუშაობის ფორმაც გამონახოს.

— ჩვენს კოლმეურნეობაში 14 აგიტატორი მუშაობს, — აღნიშნა სოფელ ქვიანის კოლმეურნეობის პირველად პარტორგანიზაციასთან არსებული აგიტკოლექტივის ხელმძღვანელმა **ვ. კეკიეშვილმა,** — მაგრამ, სამწუხაროდ, სააგიტაციო მუშაობის მხრივ ბევრს ვერაფერს დავიტრაბახებთ, რადგან კოლმეურნეობის სამეურნეო მაჩვენებლები მეტად დაბალია. ამაში გარკვეული ბრალი მიუძღოდა კოლმეურნეობის ყოფილ თავმჯდომარეს, რომელიც კოლმეურნეებმა მუშაობის ჩაშლის გამო აღარ აირჩიეს. მაგრამ სააგიტაციო საქმიანობა ძაღლ დონეზე რომ დაგვეყენებინა, კოლმეურნეობის ეკონომიკა გაცილებით გაუჯობესდებოდა. ახლა აგიტკოლექტივის მთელ საქმიანობას იქითკენ წარვმართავთ, რომ წელს აღარ შევრცხვეთ, მივაღწიოთ, რომ ყველა აგიტატორი პასუხს აგებდეს სამეურნეო მაჩვენებლებისათვის თავის ბრიგადაში, რგოლსა თუ ფერმაში. **მე ბევრი სასარგებლო რამ შევიტყე გასულ წელს აგიტატორთა რესპუბლიკურ თათბირზე ყოფნის დროს. იქ სიტყვით ბევრი გამოცდილი აგიტატორი გამოვიდა. ზოგიერთი გამოცდილება ჩვენს აგიტკოლექტივშიც გადმოვიღეთ, მაგრამ უკეთესი იქნება, თუ სააგიტაციო მუშაობის ცალკეულ საკითხებზე მეტი გვექნება ქართულად გამოცემული კარგი ბროშურები და სტატიები.**

თათბირის მონაწილეებმა ხაზი გაუსვეს აგრეთვე იმას, რომ პარტბიუროს წევრებს, აგიტატორებს ხშირად უხდებათ მინდვრად, მეცხოველეობის ფერმებში საველე გაზეთების გამოშვება, რაც მეტად სასარგებლო საქმეა.

— მაგრამ, — აღნიშნეს მათ, — ეს გარკვეულ სიძნელეებსაც იწვევს, რადგან საველე ფურცლების სწრაფად და ოპერატიულად გამოშვება გვიხდება უბრალო ქაღალდზე, ხშირად არა გვაქვს მისი ტექნიკურად მაღალ დონეზე გაფორმების საშუალებები. **კარგი იქნება, თუ სახელგამის მაღაზიები მომარაგდება სპეციალურად დახაზული და სათაურებით გაფორმებული საველე ფურცლებით, რომ საშუალება გვქონდეს საკმარისი რაოდენობით შევიძინოთ ასეთი გამზადებული ფურცლები და მინდვრად უფრო ხშირად და ოპერატიულად ვუშვებდეთ მას.**

— მთელი სააგიტაციო მუშაობის ცენტრი გადავიტანოთ მინდვრად, ჩაის პლანტაციებში, მეცხოველეობის ფერმებში, გამოვიყენოთ თვალსაჩინო აგიტაციის ყველა საშუალება!

⟨კომუნისტი⟩ სოფლის პირველადი პარტიული ორგანიზაციის მუშაობა ახალი ამოცანების დონეზე!

პარტგიურო — კოლექტიური ხელმძღვანელი

უკანასკნელ წლებში ლანჩხუთის რაიონში ბევრი კოლმეურნეობა გამსხვილდა. ამასთან დაკავშირებით, რიცხობრივად ბევრად გაიზარდა პირველადი პარტიული ორგანიზაციები. მსხვილი პარტორგანიზაციებია ჩაის ფაბრიკებშიც. ამიტომ ყველა მათგანში შექმნილია პარტიული ბიუროები.

როგორ მუშაობენ ისინი, როგორ ართმევენ თავს დაკისრებულ მოვალეობას?

თათბირზე ამის შესახებ ბევრი რამ ითქვა.

მამათოს, კოლმეურნეობის პარტბიუროს მდივანმა **პ. შეფარდნაძემ,** ბანჯათის კოლმეურნეობის პარტბიუროს მდივანმა **გ. ფაღაბაკორიამ,** საქართველოს კპ ლანჩხუთის რაიკომის საორგანიზაციო განყოფილების გამგემ **ა. ფილოსანიამ** და სხვებმა ილაპარაკეს იმ მუშაობაზე, რომელსაც პარტიული ბიუროები ეწევიან სოფლად პარტიულ-პოლიტიკური და ორგანიზატორული საქმიანობის გაძლიერებისათვის, განსაკუთრებით ამ დღეებში, როცა რაიონის მშრომელები იბრძვიან მეტი ჩაისათვის, სიმინდისთვის, სოფლის მეურნეობის სხვადასხვა პროდუქტების წარმოების გადიდებისათვის.

პარტბიურო თავის მუშაობაში მაშინ აღწევს დიდ წარმატებებს, აღნიშნავდნენ ისინი, როცა ბიუროს ყველა წევრს შორის გონივრულად განაწილებულია კონკრეტული, მუდმივი დავალებები, როცა რაიმე საკითხის გადაჭრაში მონაწილეობს ყველა მათგანი, როცა ბიუროს თვითეული წევრის აზრს საფანადო ანგარიში ეწევა და უსწრაფესად მუშავდება კოლექტიური ღონისძიება ამა თუ იმ საკითხზე.

ამ მხრივ მისაბაძია მამათის, ქვემო აკეთის, აცანის, ხორეთმოედნის, ლეხის და სხვა კოლმეურნეობების პარტბიუროების მუშაობა. აქ ბიუროს წევრებს შემუშავებული აქვთ სპეციალური სამუშაო გეგმები, თუ რას გააკეთებენ საგაზაფხულო სამუშაოების მიმდინარეობის დროს, ბიუროს ოქმებში კონკრეტულად ნაჩვენებია, თუ პარტბიუროს რომელი წევრი რა საკითხზე აგებს პასუხს.

საინტერესო იყო ქვემო აკეთის კოლმეურნეობის პარტბიუროს წევრის **ტ. ჩხაიძის** გამოსვლა. იგი თათბირის მონაწილეებს ესაუბრა იმ შინაარსიანი მუშაობის შესახებ, რომელსაც იგი, როგორც პარტბიუროს წევრი, ეწევა საკოლმეურნეო კედლის გაზეთის საინტერესო ნომრების გამოშვებისათვის.

— ჩვენს კოლმეურნეობაში კედლის გაზეთს თვეში ოთხჯერ ვუშვებთ, თქვა მან, — და ამ მიზნით პარტიულ კრებაზე ოთხი სარედაქციო კოლეგია შევქმენით, ხუთხუთი კაცის შემადგენლობით. მარტო გაზეთის გამოშვებას როდი ვჯერდებით. კოლმეურნეობაში სხვადასხვა მასობრივ ღონისძიებებსაც ვაწყობთ. შემოკრებილი გვყავს ფართო აქტივი, რომელთანაც ვაწყობთ თათბირებს, განვიხილავთ შემოსულ კორესპონდენციებს. ამ აქტივის საშუალებით ცალკეულ სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების მიმდინარეობის შესამოწმებლად ვაწყობთ რეიდებს. მაგრამ მთავარი ის არის, რომ კედლის გაზეთის მთელ მუშაობას ვუკავშირებთ იმ ამოცანებს, რომელთა განხორციელება განსაზღვრულ პერიოდში გადაწყვეტილი აქვს პარტბიუროს.

აღსანიშნავია, რომ ყველა პირველადი პარტორგანიზაციის ბიურო როდი ასრულებს კოლექტიური ხელმძღვანელის როლს. მაგალითად, ქვიანის კოლმეურნეობის პარტბიუროს ზოგიერთი წევრი ნაკლებ ინიციატივას იჩენს საკითხების განხილვაში. ხშირია შემთხვევა, როცა მთელი თვეების მანძილზე მათ კრებებზე განსახილველად არც ერთი საკითხი არ მოუმზადებიათ.

პარტიულ-პოლიტიკური და ორგანიზატორული მუშაობის წარმატება იმაზეა დამოკიდებული, თუ რამდენად სწორად ახორციელებს პარტბიურო კოლექტიურ ხელმძღვანელობას.



ჭრიბუნაზე ორატორები ერთმანეთს ცვლიან... აი ისინი თათბირის მონაწილეებს თავიანთი მუშაობის გამოცდილებას უზიარებენ. **სურათებზე:** (ზევიდან) **გ. ცანავა** — პირველადი პარტორგანიზაციის მდივანი, **დ. მგელაძე** — პროპაგანდისტი, **ვ. კეკიეშვილი** — აგიტკოლექტივის ხელმძღვანელი, **გ. ორაგველიძე** — პირველადი პარტორგანიზაციის მდივანი, **ბ. ფაღაბაკორია** — პირველადი პარტორგანიზაციის მდივანი.

ყოველი ადამიანი — ყურადღების ცენტრში

ჩვენს თვალწინ ყალიბდება ახალი ადამიანი — კომუნიზმის მშენებელი ადამიანი. ამიტომ ადამიანის აღზრდისათვის ზრუნვა პარტიული ორგანიზაციების განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს.

თათბირზე გამოსულმა ორატორებმა ყურადღება გაამახვილეს იმაზე, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ადამიანის აღზრდაში მოწინავე კოლმეურნეების, მექანიზატორების შრომისა და ცხოვრების მაგალითს. მოწინავე გამოცდილების განზოგადება, კომუნისტური შრომისა და ყოფაცხოვრების ცალკეული მაგალითების გამოყენება უნდა ხდებოდეს როგორც სააგიტაციო საუბრებში, ისე პოლიტსკოლებისა და პოლიტწრეების მეცადინეობებზე.

ჩვენში ცოტანი როდი არიან მოწინავე ადამიანები, — აღნიშნეს პროპაგანდისტმა **დ. მგელაძემ** და აგიტკოლექტივის ხელმძღვანელმა **ვ. კეკიეშვილმა.** — ვინ არ იცნობს რაიონის საამაყო კოლმეურნეებს: მამათელ როზა ხელაძეს, ლამისღელელ ტატიანა კუკულაძეს, გულიანელ ციალა ევგენიძეს, აცანელ ნათელა წილოსანს და მრავალ სხვას. თვითეულმა მათგანმა გასულ წელს 4.500-5.000 კილოგრამი მაღალი ხარისხის ჩაის ფოთოლი მოკრიფა. რაიონში არიან მოწინავე მესიმინდეებიც, მეცხოველეებიც. მათი, აგრეთვე სხვა რაიონების, ოლქების, რესპუბლიკების მოწინავე ადამიანთა გამოცდილება ყველა კოლმეურნის კუთვნილება უნდა გავხადოთ.

თათბირის ბევრმა მონაწილემ აღნიშნა, რომ რაიონის ბევრ კოლმეურნეობაში უკვე პრაქტიკაში შემოიღეს საშუალო სკოლის უფროსი კლასის მოსწავლეების შეხვედრა კოლმეურნეობებში მომუშავე მოწინავე ახალგაზრდებთან და გამოითქვა სურვილი, რომ ასეთი პრაქტიკა ფართოდ დაინერგოს.

ამხანაგებმა გააკრიტიკეს კომუნისტები, რომლებიც არა თუ ხელს არ უშლიან, არამედ ზოგჯერ მონაწილენი არიან ეგრეთწოდებული ქელეხებისა, რასაც მოსდევს ლოთობა.

— საჭიროა, — გადაჭრით მოითხოვეს მათ, — აღიკვეთოს წარსულის ეს მავნე გადმონაშთი.

კრება — აღზრდის სკოლა

პარტორგანიზაციების მდივნების გ. ცანავას და გ. ორაგველიძის გამოსვლებიდან

ბულაბდილად უნდა ვალიაროთ, რომ უკანასკნელ წელს ჩვენს კოლმეურნეობებში შინაპარტიული მუშაობა სათანადო სიმაღლეზე ვერ იდგა. ეს გასული წლის შემოდგომაზე ჩვენი პირველადი პარტიული ორგანიზაციების საანგარიშო-საარჩევნო კრებებზეც ითქვა. ამ კრებებზე კომუნისტებმა ახლად არჩეულ პარტბიუროს თავიანთი განაწესი მისცეს, მაგრამ კომუნისტთა ამ განაწესის შესრულებისათვის ჯერჯერობით ცოტა რამ გავაკეთეთ.

მართალია, სკკპ იანვრის პლენუმის დადგენილების შემდეგ ჩვენი კოლმეურნეობების კომუნისტები უფრო გააქტიურდნენ, ბევრ სასარგებლო წინადადებას აყენებენ პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის გაძლიერებისათვის, მაგრამ ჯერ კიდევ ვერ მივაღწიეთ, რომ პარტიული კრებების მომზადება და ჩატარება უფრო მაღალ საფეხურზე აგვეყვანა. ჩვენ ვეთანხმებით აქ გამოსულ ამხანაგების აზრს, რომლებმაც მოიშველიეს ცნობილი გამოთქმა იმის შესახებ, რომ პირველადი პარტიული ორგანიზაციის კრება კომუნისტების აღზრდის სკოლაა. ეს სავსებით სწორია. შემდგომ მუშაობაში განსაკუთრებით გულმოდგინედ მოვეკიდებით ყოველი კრების სანიმუშოდ მომზადებასა და ჩატარებას, მასში თვითეული კომუნისტის აქტიურ მონაწილეობას, მაგრამ ერთი პარტიული კრებიდან მეორე კრებამდე კომუნისტების წინაშე დგას მთელი რიგი საკითხები, რომელთა გადაჭრა მეტ ოპერატიულობას მოითხოვს. ჩვენ სწორედ ამ პერიოდში მუშაობის არასაკმაო გამოცდილება გვაქვს. სათანადო სიმაღლეზე ვერ დგას ბრიგადებსა და ფერმებში შექმნილი პარტიული ჯგუფების საქმიანობაც.

დღეს აქ ამხანაგებმა ბევრი სასარგებლო წინადადება წამოაყენეს. რა თქმა უნდა, ეს წინადადებები დიდად დაგვეხმარება, ხელს შეგვიწყობს მუშაობაში. მაგრამ უკეთესი იქნება, თუ ჩვენი რესპუბლიკური გაზეთი „კომუნისტი“ თავის ფურცლებზე გამოაქვეყნებს საინტერესო ვლაპარაკობთ რა შინაპარტიული მუშაობის გაუჯობესებაზე, რაც პირველადი პარტორგანიზაციების ბრძოლისუნარიანობის ამაღლების ერთ-ერთი მთავარი პირობაა, ჩვენ განსაკუთრებულ ყურადღებას ვაქცევთ შესრულების შემოწმებას. პარტიულ კრებაზე კონკრეტული დადგენილების მიღება კარგია და საჭიროა. მართლაც, როგორ უნდა იბრძოლონ კომუნისტებმა ისეთი დადგენილების პრაქტიკულად განხორციელებისათვის, როგორიც აქ ამხანაგმა ა. წილოსანმა მოიყვანა ცუდი მაგალითის სახით, როცა მთელი დადგენილება შედგება ერთი საერთო მუხლისაგან: — „დაივალოს თვითეულ კომუნისტს იბრძოლოს ჩაის მოსავლიანობის გადიდებისათვის“. რა თქმა უნდა, დადგენილება პირველადი პარტორგანიზაციისა იქნება ის თუ პარტბიუროს სხდომისა, კონკრეტული უნდა იყოს, მასში უნდა ჩანდეს შესრულების ვადა, შესრულების გზები და ვინ არის პასუხისმგებელი უშუალოდ ამა თუ იმ საქმისათვის. ზოგჯერ ასეც ვაკეთებთ, მაგრამ ხშირად პარტბიუროს წევრები ვივიწყებთ შესრულებაზე კონტროლის დაწესებას.

ჩვენ, პირველადი პარტორგანიზაციების მდივნებს, პარტიის რაიკომიდან ხშირად გვიგზავნიან ხოლმე ეგრეთწოდებულ სანიმუშო გეგმებს. ეს კარგია, მათ საორიენტაციოდ ვიყენებთ, მაგრამ უკეთესი იქნება, თუ, როგორც ეს ამხანაგებმა აღნიშნეს, პრაქტიკაში შემოვიღებთ რაიონის პირველადს პარტორგანიზაციებში შედგენილი სამუშაო გეგმების ზონალურ განხილვას, ერთმანეთის მივცემთ საქმიან რჩევას, თუ რა საკითხი გამოვვრჩა მხედველობიდან, რა იქნება კარგი გავითვალისწინოთ დამატებით. განსაკუთრებით უკეთესია, თუ ამას მოვაწყობთ ახლა, საგაზაფხულო სამუშაოების მიმდინარეობის პერიოდში, რაც მიმდინარე წლის უხვი მოსავლის მთავარი წინაპირობაა.

წერილებს მოწინავე პირველადი პარტიული ორგანიზაციების გამოცდილების შესახებ.

**ვლაპარაკობთ რა შინაპარტიული მუშაობის გაუჯობესებაზე, ერთ-ერთი მთავარი ამოცანა ... ეს ... ამ ... ...

სამსჯავროზე

აი ისინი — ხორცმეტები, მუქთახორები

ზესტაფონის რაიონის მშრომელებს არა ერთი წარმატება მოუპოვებიათ. ისინი ქმნიან სახალხო დოკლათს, სამშობლოს აძლევენ სოფლის მეურნეობის შეტ პროდუქტებს, ძვირფას შინაენობს, კაბელს... ათასობით ადამიანი ნამუსიანად, კეთილსინდისიერად მუშაობს და ცხოვრობს. მაგრამ, სამწუხაროდ, ეხედებით სახალხო ქონების გაფლანგვა-მითვისების, თვალსახვევის, სახელმწიფოს მოტყუების, კერძო-მესაკუთრული, ანტისაზოგადოებრივი ტენდენციების გამოვლინების შემთხვევებს.

სოფელ ზედა საქარის ფრუნზეს სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე დ. დათიაშვილი და ბუხალტერი ედიბერიძე კოლმეურნეობის სალარაში ისე აფეთურებდნენ ხელებს, როგორც საკუთარ ჯიბეში. დ. დათიაშვილის ნებართვით ვინმე ჯიბეველაშვილს მიჰყიდეს ყურძენი, რომლის ღირებულება 2.100 მანეთი (თანხა ყველგან ახალი ფულით არის ნაჩვენები) შემოსავალში არ გაატარეს და მითვისეს. დათიაშვილისა და ედიბერიძის დანაშაულებრივი შემქედნით გაფლანგა კოლმეურნეობის 19.030 მანეთის პროდუქტები და საშენი მასალები. პარტიის რაიონულმა კომიტეტმა დ. დათიაშვილი მოხსნა სამუშაოდან და პასუხისგებაში მისცა.

დათიაშვილის დასჯა თითქოს მაგალითი უნდა ყოფილიყო სხვებისათვის, მაგრამ ამაოდ. შორაპნის კოლმეურნეობის თავმჯდომარე დ. ბეგაძე უსირცხვილოდ ირღვევდა ირტელის წესდებას, ანაივებდა და ითვისებდა კოლმეურნეობის ქონებას. მისი თავმჯდომარეობისას დაიკარგა კოლმეურნეობის ოთხი სული მსხვილფეხა პირუტყვი, 332 მეტი წყლის მილები, გაასესხეს 1.400 კილოგრამი ცემენტი. თავმჯდომარეს პირველი იანვრისათვის ავანსად ზედმეტად მიღებული ჰქონდა 578 მანეთი, ბუხალტერ ტ. ჩხეიძეს — 340 მანეთი, მონაგარიშე დ. გაბრიჯიძეს — 484 მანეთი. ეს იმ დროს, როცა ბევრ კოლმეურნეს მიეღებელი აქვს 1960 წლის შრომადღეებზე კუთვნილი თანხა. თავმჯდომარის წაყრუებითა და ხელშეწყობით კოლმეურნეობის ფერმის გამგემ აკ. შველიძემ მითვისება და გაანაგა 12 სული პირუტყვი, 815 კილოგრამი ყველი.

სიყალბისა და თვალსახვევის ფაქტები აღმოჩნდა სოფელ ალავერდის კოლმეურნეობაში. კოლმეურნეობის ხელმძღვანელებმა ყალბად გააფორმეს პირუტყვისათვის საკვების შეძენის აქტები. სინამდვილეში არაფერი შეუძენიათ, ფული კი ჩაიჯიბეს.

საკოლმეურნეო დოკლათისადმი ასეთი წამგლეჯური დამოკიდებულებითაც აიხსნება, რომ რაიონში დებიტორულმა დავალიანებამ 108.889 მანეთი შეადგინა. ამ მხრივ ცუდი მდგომარეობაა ძირულის, ცხრაწყაროს, კვალითის, ბოსლევის და სხვა კოლმეურნეობებში.

არც რაიონის ღვინის ქარხნებშია ყველაფერი რიგზე. ვაქვეის ღვინის ქარხანაში შარშან 37.590 მანეთის დანაკლისი აღმოჩნდა. ასევე მოხდა სვირის ღვინის ქარხანაში, ხოლო ზესტაფონის ღვინის ქარხნიდან ახლახან 500 ლიტრი სპირტი გაიტაცეს. ამ ქარხანაში სხვა დარღვევებიც არის.

გაფლანგვა-დატაცებებმა იმატა სავაჭრო ორგანიზაციებში. მარტო რაიკოოპკავშირის სისტემაში გაფლანგვამ 46.330 მანეთი შეადგინა. სოფელ ილემის მაღაზიის გამგე-გამყიდველს გ. აბრამიშვილს გასული წლის ნოემბერში 17.780 მანეთის გაფლანგვა აღმოჩნდა. იგი არაკეთილსინდისიერად მუშაობდა. მას სოფელ ფუთში მუშაობისას რევიზიამ გასული წლის მაისში 1.458 მანეთის დანაკლისი აღმოუჩინა, მაგრამ თანხა დააფარვინეს და ძირულის მაღაზიაში დაუწინაურეს. რაიკოოპკავშირის გამგეობის თავმჯდომარე ფ. მაღლაკელიძე და მთავარი ბუხალტერი რ. ჭუმბურიძე ასეთი თაღლითებისადმი საეჭვო ლმობიერებას და მიმდობლობას იჩენდნენ. ასევე მოხდა სოფელ სვირში, სადაც მაღაზიის გამგე-გამყიდველს შ. ბურჯანაძეს ჯერ კიდევ გასული წლის მარტსა და სექტემბერში აღმოაჩინდა დანაკლისი. გამგეობამ მას წაუყრუა, ხოლო ბოლოს დანაკლისმა 16.963 მანეთი აკადგინა.

ზესტაფონში აშვიათი როდია შემთხვევა, რომ დაბალი ხელფასის მქონე ადამიანები ვეებერთელა საცხოვრებელ სახლებს აშენებენ. თეიჯოლის რაიკოოპკავშირის საწყობის გამგემ დიმიტრი ძიძიშვილმა ზესტაფონში ააგო ორსართულიანი კაპიტალური შენობა, რომლის საცხოვრებელი ფართობი 272 კვადრატული მეტრია, ეს გამონაკლისი როდია. ადამიანები, რომლებიც თვეში 60-70 მანეთს იღებენ, სასახლეებს იშენებენ. როგორ, საიდან?

პროკურატურის, მილიციის და სასამართლო ორგანოები მთელი შეურიგებლობით, თანმიმდევრულად ვერ იბრძვიან ამ მავნე მოაღმოსაფხვრელად.

გაფლანგვა-დატაცების წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების ღონისძიებებზე ამ დღეებში იმსჯელა პარტიის ზესტაფონის რაიკომის პლენუმმა და სათანადო დადგენილება მიიღო.

სერიოზული დარღვევები, ადამიანთა ერთი ნაწილის შეგნებაში კაპიტალიზმის გადმონაშთების არსებობა იმით აიხსნება, რომ რაიონში საკმაო პატივისცემით არ სარგებლობს კრიტიკა და თვითკრიტიკა, გულდასმით არ ხდება კადრების შერჩევა. ზოგან პირდაპირობისა და პრინციპულობის ნაცვლად ფეხგადგმულია მლიქნელობა-მაბრძანებლობა. განსაკუთრებით დანაგვიანებულია სავაჭრო ქსელი. მრავალთაგან მოვიყვანთ ერთ მაგალითს. ზემო იმერეთში კომბინატორობით ცნობილია ვინმე დავით ელიკაშვილი. მის შესახებ არაერთგზის დაუწერია ადგილობრივ და რესპუბლიკურ პრესას. მარშან, მაღაზიას, სადაც დავით ელიკაშვილი მუშაობდა, რაიონულმა გაზეთმა „ლენინელმა“ სამართლიანად უწოდა „დათუნას დუქანი“. როგორც იქნა, იგი გათავისუფლეს, მაგრამ ზესტაფონელი მშრომელები გაოცდნენ, როცა რამდენიმე თვის შემდეგ დ. ელიკაშვილი იმავე მაღაზიაში დაბრუნეს. შეცდომა იყო ისიც, რომ რაიკოოპკავშირის გამგეობის თავმჯდომარედ გაიგზავნა სოფლის მეურნეობის სპეციალისტი ჟენია მაღლაკელიძე, რომლის დროსაც ერთბაშად იმატა გაფლანგვა-დატაცებებმა.

ადამიანთა აღზრდა, მათში კაპიტალიზმის გადმონაშთების აღმოფხვრა, საბჭოთა მორალის დანერგვა, სახელმწიფო და საზოგადოებრივი ქონების დატაცების, მოტყუებისა და თვალის ახვევის ყოველი ფაქტის წინააღმდეგ შეურიგებელი ბრძოლა ზესტაფონის რაიონული პარტიული ორგანიზაციის, თვითეული პარტიელი მშრომელის ერთ-ერთი მთავარი ამოცანა უნდა გახდეს.

პ. ᲘᲝᲜᲐᲫᲔ,
„კომუნისტის“ სპ. კორ.

ᲐᲤᲠᲘᲙᲐ — ᲐᲤᲠᲘᲙᲔᲚᲔᲑᲘᲡ!

ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲐ ᲒᲐᲜᲘᲪᲓᲘᲡ ᲓᲘᲓ ᲓᲐᲥᲕᲔᲘᲗᲔᲑᲐᲡ

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

ᲐᲠ ᲓᲐᲕᲣᲨᲕᲐᲗ ᲙᲝᲜᲒᲝᲡ ᲒᲐᲗᲘᲨᲕᲐ



ᲡᲐᲘᲠᲣᲡ ᲘᲢᲝᲜᲘᲡ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ

ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲘ, 4 აპრილი. (საკდესი). ამერიკის შეერთებული შტატების მსჯავლმა მრეწველმა და თვალსაჩინო საზოგადო მოღვაწემ საირუს იტონმა გაზეთ „ჩიკაგო სან ენდ ტაიმსის“ კორესპონდენტისადმი ინტერვიუში მოუწოდა ამერიკის შეერთებულ შტატებს გაფფართოონ ვაჭრობა საბჭოთა კავშირთან და სხვა სოციალისტურ ქვეყნებთან, რაც სტიმულს მისცემს ამერიკის ეკონომიკას.

მან განაცხადა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების ეკონომიკა ახლა განიცდის „დიდ დაქვეითებას“, რომ ამერიკის მრეწველობა ქრონიკულად დაუტვირთავია.

„ჩვენთვის, — თქვა იტონმა, — საჭიროა ბაზრები ჩვენი საქონლისათვის“.

შემდეგ იტონმა განაცხადა, რომ თუ ამერიკის საგარეო ვაჭრობა არ გაფართოვდა, მისი ეკონომიკა კვლავ ვერ იმუშავებს სრული სიმძლავრით.

„ჩიკაგო სან ენდ ტაიმსის“ სიტყვით, იტონმა „უარი თქვა განეცხადებინა, თუ, მისი აზრით, რამდენ ხანს გასტანს ეკონომიური დაქვეითება, მან განაცხადა, რომ პრეზიდენტი შეიძლება იყოს მეტად თავგზისამბნევი“.

ᲒᲠᲫᲝᲚᲐ ᲐᲢᲝᲛᲣᲠᲘ ᲘᲐᲠᲐᲦᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲐᲦᲛᲓᲔᲒ ᲞᲝᲚᲐᲜᲓᲘᲐᲨᲘ

ᲰᲐᲒᲐᲒᲐ, 4 აპრილი. (საკდესი). დამთავრდა ლაშქრობა ატომური შეიარაღების წინააღმდეგ, რომელიც მოაწყეს ჰოლანდიელმა მშვიდობის მომხრეებმა. გუშინ თვალი ცენტრალური ჰოლანდია ქალაქ ამეისფორტიდან ამსტერდამამდე. გაიარა ავტობუსებისა და ავტომანქანების კოლონამ, რომლებშიც ისხდნენ ლაშქრობის მონაწილეები.

მძლავრი დემონსტრაციები გაიმართა უტრეხტში, ამერსფორტში, ამსტერდამში. ლაშქრობის მონაწილეთა კოლონამ გაიარა ამერიკის სამხედრო ბაზის (სუტერბერგში) მიჯაჭვართან. დემონსტრანტებს მოჰქონდათ პლაკატები ლოზუნგებით: „ომი ომს!“, „წაიღეთ ატომური ბომბები ჰოლანდიიდან!“, „გახსოვდეთ ხიროსიმა!“, „ძირს ატომური იარაღის საწყობები!“

საღამოს ამსტერდამში გაიმართა ხალხმრავალი მიტინგი, რომელზეც გამოვიდნენ მშვიდობისა და განიარაღებისათვის მებრძოლთა სხვადასხვა ორგანიზაციის წარმომადგენლები, ჰოლანდიის თვალსაჩინო სახოგადო და პოლიტიკური მოღვაწეები. ყველა მათგანმა ერთსულოვნად მოითხოვა, რომ უარი თქვან ატომურ იარაღზე, გაიაქმონ სამხედრო ბაზები და ატომური იარაღის საწყობები ჰოლანდიაში, მოახდინონ განიარაღება.

ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲘ, 4 აპრილი. საკდესის კორესპონდენტი ნ. კრესტნიკოვი იუწყება: დღეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის პლენარულ სხდომაზე გრძელდებოდა კონგოს რესპუბლიკაში შექმნილი მდგომარეობის საკითხის განხილვა. სხდომაზე პირველი გამოვიდა ცეილონის წარმომადგენელი. მან განაცხადა, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ არ უნდა დაუშვას კონგოს რესპუბლიკის გათიშვა, რადგან აფრიკის სახელმწიფოთა დანაწილების ეს პროცესი შეიძლება აფრიკის სხვა რაიონებზეც გავრცელდეს. მან დაგმო „აფრიკაში ყველაზე საძულველი ადამიანის“ — ბელგიის აგენტის ჩომბეს საქმიანობა, რომელსაც ეკისრება სრული პასუხისმგებლობა პატრის ლუმუმბას და მის თანამებრძოლთა დახოცვისათვის.

დასასრულ მან მოითხოვა განაახლონ კონგოს პარლამენტის ნორმალური საქმიანობა, დაუყოვნებლივ გაიყვანონ კონგოდან მთელი ბელგიელი სამხედრო და სამოქალაქო პერსონალი და შეწყვეტონ იარაღის შეზიდვა კონგოში საზღვარგარეთიდან.

გვინეის წარმომადგენელმა დიალომ გულისწყრომით დაგმო ბელგიელი კოლონიზატორები და მათი მოკავშირენი კონგოში მათი სისხლიანი ბოროტმოქმედებისათვის და კონგოს ეროვნული გმირის პატრის ლუმუმბას საზიზღარი მოკვლისათვის. თავისი მთავრობისა და ხალხის სახელით მან ერთხელ კიდევ დაგმო ჰამარშელდის საზიზღარი როლი პატრის ლუმუმბას და მისი თანამებრძოლების დახოცვაში. დიალომ შემდეგ განაცხადა, რომ გადაწყვეტილება კონგოს რესპუბლიკის დანაწილების შესახებ, რომელიც მიიღეს კონგოელი ხალხის მოღალატეებმა — ჩომბემ, კალონჟიმ, იღეომ და კასაკუბამ ეგრეთწოდებულ „მრგვალი მაგიდის კონფერენციაზე“, უკანონოა, ხოლო კოლონიური სახელმწიფოების მთელ საქმიანობას ამ „კონფერენციის“ გარშემო მან მასკარადი უწოდა. გვინეის წარმომადგენელმა ხაზგასმით განაცხადა, ჩემს მთავრობას ამჟამადაც მიაჩნია ა. გიზენგა კონგოელი ხალხის ერთადერთ და კანონიერ წარმომადგენელად. მან მოითხოვა დაუყოვნებლივ მოიწვიონ კონგოს პარლამენტი და შეუქმნან მას მუშაობისათვის საჭირო ყველა პირობა. გვინეის დელეგაციის აზრით, კონგოს პრობლემის გადაჭრა უნდა დაიწყოს იმით, რომ დაუყოვნებლივ გაიყვანონ მთელი ბელგიელი პერსონალი კონგოს რესპუბლიკიდან.

ᲒᲐᲔᲠᲗᲘᲐᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲔᲠᲔᲑᲘᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲘᲡ ᲒᲔᲜᲔᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲐᲡᲐᲛᲑᲚᲔᲘᲡ ᲞᲚᲔᲜᲐᲠᲣᲚᲘ ᲡᲮᲓᲝᲛᲐ

კონგოს რესპუბლიკის საკითხზე ბელგიელ-ინგლისელ-ამერიკელ-ფრანგ-ესპანელ-ბრაზილიელ-ეგვიპტელ-ინდოელ-ინდონეზიელ-ირანელ-იორდანელ-ლიბანელ-ლიბიელ-ლიტველ-ლუქსემბურგელ-ლიბერიელ-ლეგენდარული ბელგიელ-ლეგიონერ-ლეგიონელ-ლეგიონელ-ლეგიონელ

დიდი მეგობრობის ღრმა ფესვები

კრიტიკა და ბიბლიოგრაფია

რუსეთ-საქართველოს კულტურული ურთიერთობის ისტორიიდან

რუსეთ-საქართველოს კულტურულ ურთიერთობას ღრმა ისტორიული ფესვები აქვს.

ამ საქმეში დიდი როლი შეასრულეს რუსეთის სხვადასხვა ქალაქების უმაღლესმა სასწავლებლებმა, განსაკუთრებით პეტერბურგისა და მოსკოვის უნივერსიტეტებმა.

მიუხედავად იმისა, რომ მოსკოვის უნივერსიტეტმა წლების მანძილზე მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა რუსეთ-საქართველოს კულტურული ურთიერთობის განმტკიცებაში, დღემდე მისი ეს ღვაწლი საკმაგებრ შესწავლის საგნად არავის გაუხდია. ამიტომ მისასალმებელ მოვლენად უნდა მივიჩნიოთ **ირ. ტატიშვილისა** და **თ. დეკანოსიძის** ვრცელი გამოკვლევის — **„მოსკოვის უნივერსიტეტი და ქართველი ახალგაზრდობის“** — გამოქვეყნება (რედაქტორი, პროფ. ა. კიკვიძე).

ამ ნაშრომით ავტორებმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს არა მარტო მოსკოვის უნივერსიტეტისა და ქართველი ახალგაზრდობის ურთიერთობის შესწავლაში, არამედ საერთოდ რუსეთ-საქართველოს კულტურული ურთიერთობის, თვითმპყრობელობის წინააღმდეგ ქართველი, რუსი და სხვა ეროვნებათა ახალგაზრდობის ერთობლივი ბრძოლის ისტორიის შესწავლის საქმეშეც.

ქართველი მოღვაწეებისა და ახალგაზრდობის ურთიერთობა მოსკოვის უნივერსიტეტთან მისი დაარსებიდანვე დამყარდა. ამიტომაც ავტორები სავსებით სწორად მოიქცნენ, როცა ამ ვრცელ ნაშრომს ერთგვარი შესავლის სახით წაუძღვარეს მოსკოვის უნივერსიტეტის დაარსებისა და განვითარების მოკლე ისტორია. ეს მით უფრო გამართლებული ჩანს, რომ ამ უდიდეს კულტურულ საქმიანობაში მონაწილეობას იღებდნენ იმ დროს რუსეთში მყოფი ქართველი მოღვაწეებიც.

ნაშრომის ერთ-ერთი ძირითადი თაკი მიძღვნილია მოსკოვის უნივერსიტეტში 1755 წლიდან 1916 წლამდე აღზრდილი ქართველების ცხოვრებისა და მოღვაწეობის მოკლე მიმოხილვისადმი. მიუხედავად იმისა, რომ ავტორების განკარგულებაში იყო მხოლოდ არასრული საარქივო მასალები, მათ შეძლეს ჩვენს წარმოდგენაში გაეცოცხლებინათ ქართული მეცნიერებისა და კულტურის ცნობილ წარმომადგენელთა სახეები. შრომის ამ ნაწილში ჩვენ ვხვდებით მოსკოვის უნივერსიტეტის პირველ ქართველ სტუდენტთა, მოსკოვის XVIII ს. შუა წლებს ქართული კოლონიის ახალგაზრდების სახელებს.

აქვე ავტორები მოკლედ გვაცნობენ მოსკოვის უნივერსიტეტში სწავლა-განათლებამიღებულთა, ჩვენი თანამედროვეობის უფროსი თაობის წარმომადგენლების ცხოვრებასა და მოღვაწეობას. მართალია, შრომის ამ ნაწილში მოცემული მიმოხილვა სრული ვერ არის (ამას თვით ავტორებიც აღნიშნავენ), მაგრამ ის, რაც გაკეთებულია დიდად საჭირო და სასარგებლოა.

ქართველი — ახალგაზრდობის უმრეტ სურვილი — მიეღო სწავლა-განათლება რუსეთის უმაღლეს სასწავლებლებში — ცარიზმის კოლონიურ საგანმანათლებლო პოლიტიკასთან ერთად წინ ეღობებოდა უსახსრობა, ხელმოკლეობა. მშრომელთა ნიჭიერი შვილების ერთი ნაწილისათვის უნივერსიტეტში მოხვედრა მხოლოდ ოცნება იყო, იმათ კი, ვინც ამ ოცნების განხორციელებას ახერხებდა — წლების მანძილზე მძიმე ეკონომიურ პირობებში ცხოვრება და ბრძოლა უხდებოდათ. მოსკოვის უნივერსიტეტის ქართველ სტუდენტთა ყოფაცხოვრების მეტად საინტერესო აღწერით ავტორებმა ნათელი წარმოდგენა მოგვცეს იმ მძიმე პირობებზე, რომლებშიც უხდებოდათ ქართველ სტუდენტებს უმაღლესი განათლების მიღება.

მოსკოვის ქართველი სტუდენტობის დიდი ნაწილის ასეთი მძიმე მდგომარეობის შემსუბუქების ყოველნაირად ცდილობდნენ ადგილობრივი პროგრესული მოღვაწენი და მათი ოჯახები და განსაკუთრებით ქართველი საზოგადოებრიობა. ამ უკანასკნელმა გასული საუკუნის 70-იანი წლებიდან დაიწყო ზრუნვა მოსკოვისა და საერთოდ რუსეთის ქალაქებში მოსწავლე ახალგაზრდობისთვის დახმარების გასაწევად. ამ საქმეში სხვადასხვა კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოებებს გარდა (წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება, ღარიბ სტუდენტთა დამხმარე საზოგადოება და სხვ.) თავი ისახელეს ქართველმა საზოგადო მოღვაწეებმა, მრეწველ-ქველმოქმედებმა.

სარეცენზიო შრომის ავტორებს ყველაფერი ეს ვრცელად და მიმზიდველად აქვთ დახასიათებული და გადმოცემული შრომის სათანადო თავებში.

დიდი მუშაობა გასწია მოსკოვის უნივერსიტეტთან არსებულმა „ი. ჭავჭავაძის სახელობის ქართული კულტურის მოყვარულთა წრემ“ ქართული ლიტერატურის, სამართლისმცოდნეობისა და საქართველოს ისტორიის შესწავლის საქმეში.

ამ საინტერესო მიმოხილვით შრომის ავტორებმა ნათლად გვიჩვენეს, რომ ქართველ სტუდენტთათვის სათვისტომო იყო არა მხოლოდ ის კერა, საიდანაც ისინი მატერიალურ დახმარებას მიიღებდნენ, არამედ ორგანიზაცია, რომელიც მათ უნერგავდა მაღალზნეობრივ იდეალებს, ასწავლიდა მეგობრობას, საზოგადოებრივ მუშაობას, უნერგავდა სიყვარულს სამშობლოსა და მისი კულტურისადმი, ხელს უწყობდა ეროვნული კულტურის პროპაგანდას და სხვა ერებთან ერთობა-მეგობრობის განმტკიცებას.

მოსკოვის სტუდენტთა შორის მუშაობის ფართოდ გაშლას განსაკუთრებით უწყობდა ხელს ა. სუმბათაშვილ-იუჟინის თავმჯდომარეობით 1907 წელს დაარსებული „მოსკოვის ქართველთა საზოგადოება“. ეს იყო დიდი კულტურული ორგანიზაცია, რომელიც ნაყოფიერად მოღვაწეობდა მოსკოვში მცხოვრებ ქართველთა, საერთოდ ქართველი ხალხის საკეთილდღეოდ, ქართველი და რუსი ხალხების მეგობრობის განსამტკიცებლად. სავსებით მართებულად მოიქცნენ ავტორები, როცა ამ საზოგადოების მრავალმხრივი მოღვაწეობის მიმოხილვას საკმაოდ მნიშვნელოვანი ადგილი დაუთმეს.

ავტორებს ყურადღების გარეშე არ დარჩენიათ არც ქართული კულტურულ-საგანმანათლებლო წრეები მოსკოვში, რომლებსაც თავიანთი წვლილი შეჰქონდათ ქართული კულტურისა და ისტორიის პოპულარიზაციის საქმეში.

სარეცენზიო ნაშრომში ყველაზე ვრცელი თავი აქვს დათმობილი რუსეთის რევოლუციურ მოძრაობაში მოსკოვის უნივერსიტეტის ქართველ სტუდენტთა მონაწილეობის მიმოხილვას. ქართველი, რუსი და სხვა ეროვნების ახალგაზრდობის მეგობრობა-თანამშრომლობა წლების მანძილზე აერთებდა მათ აგრეთვე პროგრესის საერთო მტრის — რუსეთის ცარიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში. ეს იყო ერთი ყველზე მნიშვნელოვანი შედეგი რუსეთ-საქართველოს მრავალსაუკუნოვანი ურთიერთობისა.

ამ თავში მოყვანილი საინტერესო მასალიდან კარგად ჩანს, რომ მოსკოვის სტუდენტთა არც ერთი რევოლუციური გამოსვლა არ ყოფილა მოსკოვსა თუ რუსეთის სხვა ქალაქების უმაღლეს სასწავლებლებში, რომელშიც მნიშვნელოვანი წვლილი არ შეეტანოს ქართველ სტუდენტობას. მოსკოვის სტუდენტების სხვადასხვა სახის რევოლუციური გამოსვლების მონაწილენი იყვნენ არა მარტო პროფესიონალი რევოლუციონერები (მაგ., ზდანოვიჩი და სხვები), არამედ აგრეთვე ა. თვალჭრელიძე, მ. მირიანაშვილი, თ. კაპანაძე, ვ. ჯაფარიძე, მ. ასათიანი, ა. კანდელაკი და სხვები.

სარეცენზიო ნაშრომში კარგად არის ნაჩვენები რუსეთში მყოფი ქართველი სტუდენტების ადგილი ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ რევოლუციებში, მათი ურთიერთობა მოწინავე რუს პროფესორებთან, ხელოვნებისა და ლიტერატურის გამოჩენილ მოღვაწეებთან, ლ. ტოლსტოისთან, მ. გორკისთან და სხვებთან.

მამაცურად იბრძოდნენ მოსკოველი ქართველი სტუდენტები დიდი ოქტომბრის დღეებშიც. ერთი მათგანი იგონებს: „ჩვენ, ქართველ სტუდენტებს რუსი რევოლუციონერი სტუდენტები თავისიანებისაგან არ გვარჩევდნენ. ერთხელაც არ ყოფილა ლაპარაკი იმაზე, რომ ჩვენ, ქართველებს, არ შეიძლება მოგვეცეს შესასრულებლად ესა თუ ის დავალება. პირიქით, თუ რაიმე რთული ამოცანა იყო, ჩვენ გვიანდებნენ, ესენი ყოჩაღი ბიჭები არიანო. ჩვენც ეს მხოლოდ გვახარებდა. იმ დროს მოსკოვის უნივერსიტეტში 110-მდე ქართველი ვიყავით და ყველა, როგორც ერთი, იბრძოდა რევოლუციური მოძრაობის ამოცანების შესასრულებლად“.

ნაშრომში აღძრულია სხვა არაერთი მნიშვნელოვანი საკითხიც. მათ შესახებ საუბარი საგაზეთო წერილის ფარგლებში ძნელებელი ხდება. ზემოთ მოცემული მოკლე მიმოხილვაც კი ნათელყოფს ამ წიგნის დიდ მნიშვნელობას. ამასთან, ნაშრომი თავისუფალი არ არის ზოგი ხარვეზისგანაც. ზოგი საკითხი სრულით ვერ არის განხილული. ჩვენი აზრით, მოსკოვის უნივერსიტეტის დაარსების შესახებ საუბრის დროს სასურველი იქნებოდა ორიოდე სიტყვით მაინც მოგვეხსენებინა ვახუშტი ბაგრატიონი, რომელმაც იმ დროს მოსკოვში თავისი მოღვაწეობით და საქმიანობით მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი მოსკოვის უნივერსიტეტის გახსნას.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ნაშრომში მთელი სისრულით ვერ არის გამოყენებული მოსკოვის არქივების, კერძოდ მოსკოვის უნივერსიტეტის არქივის მასალები, რომლებიც ნაშრომს უფრო მდიდარ და სრულყოფილ სახეს მისცემდა. იშვიათად, მაგრამ მაინც გვხვდება ფაქტიური შეცდომებიც. ზოგჯერ მკითხველი გრძნობს ნაშრომის გადატვირთვას სხვადასხვა, ერთგვარად ზედმეტი ფაქტიური მასალით.

მაგრამ ეს და სხვა ცალკეული ნაკლოვანებანი ვერ დაამცირებენ შრომის საერთო დიდ ღირსებას. ამ ნაშრომით მნიშვნელოვანი ნაბიჯია გადადგმული რუსეთ-საქართველოს კულტურული ურთიერთობის შესწავლის საქმეში არსებული ხარვეზის შესავსებად. ამ წიგნში მოყვანილი არაერთი საინტერესო მასალა ბევრ მომავალ მკვლევარს აღუძრავს აქ მოკლედ განხილული საკითხების საგანგებოდ შესწავლის ინტერესს. ირ. ტატიშვილისა და თ. დეკანოსიძის ზემოგანხილული შრომის გამოცემით „საბჭოთა საქართველომ“ დიდი სამსახური გაუწია ქართველ ახალგაზრდობას, სამეცნიერო წრეებსა და მთელ საზოგადოებრიობას. სარეცენზიო ნაშრომი უდავოდ მნიშვნელოვან შენაძენს წარმოადგენს.

ამასთანავე უნდა აღვნიშნოთ, რომ იგი არანაკლებ საინტერესო იქნება არაქართველი, კერძოდ, რუსი მკითხველისათვის. ძირითადად ქართულ მასალებზე დამყარებული ეს ნაშრომი მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს აგრეთვე თვით მოსკოვის უნივერსიტეტისა და საერთოდ რუსეთის კულტურის ისტორიის შესწავლის საქმეში. ამიტომ ამ ნაშრომის გამოცემა რუსულ ენაზეც, ჩვენი აზრით, სასურველი და მისასალმებელი მოვლენა იქნებოდა.

პროფესორი შ. მესხია.

ხელოვნების ქრონიკა

„ნაცარქექია“

ტყიბულის ორჯონიკიძის სახელობის შახტის კლუბთან არსებულმა თეატრალურმა კოლექტივმა მაყურებელს მორიგ პრემიერად უჩვენა ნახუცრიშვილისა და გამრეკელის კომედია „ნაცარქექია“.

სპექტაკლი დადგა მეშახტე მსახიობმა პ. თოდაძემ, მხატვრულად გაფორმა მ. ბარანოვმა, მუსიკალურად — ი. ზაიცევმა.

როლებს ასრულებენ სცენისმოყვარე მეშახტეები ა. ცხადაშვილი, მ. ფორჩხიძე, ნ. ლორთქიფანიძე, ა. ახვლედიანი, ო. წაქაძე, ლ. ბაბუხადია, ვ. ალავიძე, ა. გვენცაძე, გ. ცქიფურაშვილი, ო. ტუკვაძე და სხვები. (**საკ. კორ.**).

„მაცი ხვიჩია“

ზუგდიდის შ. დადიანის სახელობის სახელმწიფო თეატრის კოლექტივმა განახორციელა ანტონ ფორცელაძის ისტორიული რომანის მიხედვით გრიგოლ ლაღიძის მიერ ინსცენირებული „მაცი ხვიჩია“. დადგმა ეკუთვნის ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს გ. ლაღიძეს, მხატვრულად გაფორმა დ. მრიანაშვილმა, ლოტბარია შ. ბიგვავა.

როლებს ასრულებენ მსახიობები შ. მოსია, ა. ნიკოლიშვილი, მ. ტოგონიძე, ქ. ესებეა, გ. ახვლედიანი, ა. ქირია, ვ. ქართველიშვილი, ბ. ბეგალიშვილი, თ. ფარცვანია, საქართველოს დამსახურებული არტისტი ა. როგავა, გ. წერეთელი, დ. ყუფარაძე, შ. ესპარია და სხვები.

ვ. ცოფაია,
ბ. ალშიბაია.

„ჰიაკოკონა“

მეშახტეთა სოფელში ზეიმია. ჰიაკოკონა დაუნთიათ, სულ მაღლა და მაღლა მიიწევს ცეცხლი. ვინ გადახტება, ვინ არის ყველაზე გაბედული, უშიშარი! როინი ბედავს, ჭაბუკი თითქოს ჩაინთქა ალში. მაგრამ არა...

დღეს სოფელში ზეიმია, ხვალ კი კვლავ ნესტიანი, ბნელი შახტები, ქანცგამომცლელი შრომა და მცირე გასამრჯელო...

ინჟინერ გიორგის სახლში შეკრებილ გაფიცულ მეშახტეებს ჟანდარმები ესხმიან თავს. როინი და ბოჩი გარბიან, ბოჩის ჟანდარმი შემოაკვდება — უკან გზა აღარ არის, ტყეში იხიზნება. როინს დაატყვევებენ და ციხეში გადაასახლებენ...

პირველი მსოფლიო ომი, ჯარისკაცებს ბრძოლა არ უნდათ, ფრონტი ლია, რევოლუცია ახლოვდება, მეფის მთავრობა პატიმრებს ფრონტზე გზავნის. როინიც აქ არის.

რევოლუცია იმარჯვებს, ბოლო მოეღო უსამართლობას. როინი საქართველოში ჩამოდის, მაგრამ აქ არაფერი შეცვლილა, მენშევიკები ფრონტელებს იარაღს აყრევინებენ, ურჩებს ხვრეტენ. იგივე სიდუხჭირე, იგივე უსამართლობა.

ძნელი, ცეცხლიანი გზა გაიარა როინმა. სად არ გადატყორცნა იგი ცხოვრებამ, რა გასაჭირი არ გადაატანინა, მოსწყვიტა სამშობლოს, დააშორა სატრფოს, მაგრამ მან იცის, რა არის საჭირო. ისიც ტყეში გახიზნულ ბოჩის რაზმს უერთდება, ბოჩის რაზმთან ერთად იბრძვის.

ძნელი განსაცდელი ერგოთ წილად რევოლუციის მებრძოლებს, და ვინც შეუდრეკლად გაიარა ცეცხლიანი გზა, ვინც თავისი ცხოვრება ხალხს დაუკავშირა, კიდევაც გაიმარჯვა.

უკანასკნელი კადრი — შეიარაღებული აჯანყებული ხალხი, ანთებული ჩირაღდნები... და იცი, რომ ეს ახალი ცხოვრების დასაწყისია...

საბჭოთა საქართველოს საიუბილეო დღეებში ეკრანზე გამოვა კინოსტუდია „ქართული ფილმის“ ახალი ნაწარმოები „ჰიაკოკონა“ — რაჟდენ გვეტაძის ამავე სახელწოდების მოთხრობის მიხედვით.

სცენარის ავტორია სულიკო ჟღენტი. ფილმი დადგა რეჟისორმა ი. ქავთარაძემ, გადაიღო ოპერატორმა გ. კალატოზიშვილმა, რეჟისორია დ. აბაშიძე, მხატვარი — ზ. მეძმარიაშვილი, კომპოზიტორი — ბ. კვირნაძე.

მთავარ როლებში გამოდიან მსახიობები ლ. ელიავა (ირმა), მ. ბებურიშვილი (როინი), დ. აბაშიძე (ბოჩი), ვ. თოხაძე (ოქროპირი), ნ. ჩხეიძე (გიორგი), ერ. მანჯგალაძე (ხოსრო) და სხვ.

მაყურებელი ეკრანზე ნახავს რევოლუციის თავდადებულ გმირებს, მშრომელთა ბრძოლას, რის შედეგადაც გამარჯვების დროშა აფრიალდა საქართველოში.

ო. ლორთქიფანიძე.

სურათებზე: კადრები ფილმიდან „ჰიაკოკონა“; მარცხნივ — ლ. ელიავა (ირმა).

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს მონადირეთა მეექვსე ყრილობა

გაიმართა საქართველოს მონადირეთა VI ყრილობა, რომელმაც მოისმინა და განიხილა საქართველოს მონადირეთა კავშირის გამგეობის პრეზიდიუმის თავმჯდომარის რ. ჭელიძის საანგარიშო მოხსენება.

ამჟამად რესპუბლიკაშია მონადირეთა და მეგადურთა 810 პირველადი კოლექტივი, რომლებშიც 45 ათასი წევრია გაერთიანებული. ისინი ნაყოფიერ მუშაობას ეწევიან მტაცებელთა განადგურებისა და სასარგებლო ფაუნის დაცვისათვის. ბრაკონიერთა გამოვლინებისა და მტაცებელთა განადგურების საქმეში მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ აგრეთვე მონადირეთა საზოგადოებებთან შექმნილ საზოგადოებრივ ინსპექტორთა ჯგუფებსა და ბრიგადებს.

ამასთან ყრილობაზე აღინიშნა, რომ სამხრეთ ოსეთის, ბოლნისის, მარნეულის, ასპის, საჩხერისა და მთელი რიგი სხვა რაიონების სანადირო მეურნეობებში გულგრილად ეკიდებიან სანადირო ფაუნის გამრავლების საქმეს, არ იბრძვიან ბრაკონიერობის აღკვეთისათვის.

ყრილობამ მოისმინა სარეევიზიო კომისიის თავმჯდომარის ი. ოქრუაშვილის აკადემიაში და საქართველოს მონადირეთა კავშირის გამგეობასთან არსებულ ამხანაგური სასამართლოს თავმჯდომარის მ. გრიგოლიას მოხსენება ამ სასამართლოს საქმიანობის შესახებ. მოსმენილ იქნა საქართველოს მონადირეთა კავშირის გამგეობის პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილის გ. მეგარნიშვილის მოხსენება მონადირეთა კავშირის წესდებაში ცვლილების შესახებ.

მოხსენებათა განხილვაში მონაწილეობა მიიღო 14 კაცმა.

ყრილობაზე სიტყვა წარმოთქვა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ მ. ჯუჭავამ.

ყრილობამ საქართველოს მონადირეთა კავშირის გამგეობისა და ამხანაგური სასამართლოს მუშაობა დამაკმაყოფილებლად ცნო.

არჩეულია საქართველოს მონადირეთა კავშირის გამგეობის, სარევიზიო კომისიის და ამხანაგური სასამართლოს ახალი შემადგენლობა. საქართველოს მონადირეთა კავშირის გამგეობის პრეზიდიუმის თავმჯდომარედ არჩეულია ს. როსტიაშვილი. (**საქდესი**).



საზღვაო საავადმყოფო

ასტრახანის ოლქი. სამხრეთ კასპიის ექსპედიციის მეგადურები კმაყოფილ არიან ჯანმრთელობის დაცვის ასტრახანის საოლქო განყოფილების მცურავი საზღვაო საავადმყოფოს კოლექტივის მუშაობით. მედიცინის მუშაკები ხშირად თვეობით ზღვაში არიან. ზრუნავენ კასპიის ზღვის მეგადურთა ჯანმრთელობის დაცვისათვის. მცურავ საავადმყოფოზე ყველაფერია მოწყობილი ზღვაში სასწრაფო სამედიცინო დახმარების აღმოჩენისათვის.

აქ არის ათსაწოლიანი სტაციონარი, ლაბორატორია, რენტგენის კაბინეტი, საოპერაციო, სტომატოლოგიური კაბინეტი და სხვ.

სურათზე: საზღვაო საავადმყოფო.

ფოტო ა. ლეონტიევისა. (საკდესის ფოტოქრონიკა).

კომუნისტი

ფეხბურთის ფედერაციის საბჭოს პლენუმი

მოსკოვი, 4 აპრილი. (საკდესი). დღეს მოსკოვში დამთავრდა სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციის საბჭოს პლენუმი.

პლენუმის მონაწილეებმა აღნიშნეს პოპულარული თამაშის სულ უფრო განვითარება, ამასთანავე გააკრიტიკეს ნაკლოვანებანი, რომლებიც ახასიათებს მუშაობას მასობრივი, კერძოდ, ჭაბუკთა და ბავშვთა ფეხბურთის დანერგვისათვის. აღინიშნა, რომ საჭიროა გაუმჯობესდეს სასწავლო-საწვრთნელი და აღმზრდელობითი მუშაობა ოსტატთა გუნდებში.

პლენუმზე აღნიშნეს, რომ ზოგიერთი სასპორტო ორგანიზაცია არ იჩენს საკმარისად დაინტერესებას სსრ კავშირის ნაკრები გუნდისთვის კანდიდატთა მომზადებაში, ადგილობრივი მნიშვნელობის ინტერესებს უფრო მაღლა აყენებენ, ვიდრე ნაკრები გუნდის მომზადების ინტერესებს, მაშინ როცა სწორედ სსრ კავშირის გუნდის გამოსვლა საერთაშორისო შეჯიბრებებში ეწინარეს ყოველისა განსაზღვრავს საბჭოთა ფეხბურთის დონეს.

სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციის პლენუმმა დაავალა ფედერაციის პრეზიდიუმს შეიმუშაოს წინადადებანი, რომ სრულიად საკავშირო ჩემპიონატი 1963 წლიდან მოეწყოს „ა“ კლასის 22 გუნდისთვის ორ წრედ, წინასწარი შეხვედრების გაუმართვად.

დამტკიცებულია ერთი გუნდიდან მეორეში ფეხბურთელთა გადასვლის ახალი წესი.

საბჭოს პლენუმმა აირჩია პრეზიდიუმის ახალი შემადგენლობა. პრეზიდიუმის შემადგენლობაში 23 კაცია. პრეზიდიუმის თავმჯდომარედ არჩეულია სპორტის დამსახურებული ოსტატი ვ. გრანატკინი, მოადგილეებად — სპორტის დამსახურებული ოსტატი ა. სტაროსტინი და კავშირგაბმულობის მუშაკთა და ავტოტრანსპორტისა და გზატკეცილების მუშაკთა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარე ბ. რომანოვი. პასუხისმგებელ მდივნად — სპორტის დამსახურებული ოსტატი ვ. მოშკარკინი.

ქალთა საბადრაკო ჩემპიონატი

გუშინ რესპუბლიკურ საბადრაკო კლუბში გაიმართა საქართველოს ქალთა საბადრაკო პირველობის ფინალის მეათე ტური.

კიდევ ერთი გამარჯვება მოიპოვა ოსტატმა ნ. გიფრონდაშვილმა. მეათე ტურში მან დაამარცხა ნ. ფანქველაშვილი. გ. ბუცხრიკიძემ მოუგო ზ. კალანდარიშვილს, მ. ნამორაძემ — ნ. დიატლოვას.

ა. ჩაიკოვსკაია — ს. ივანოვას პარტიაში მიწურსაღამდეგანი ყიინმზე შეთანხმდნენ. დანარჩენი პარტიები გადაიდო. ო. მათირიშვილისა და ნ. ფანქველაშვილის მეცხრე ტურის პარტია დამთავრდა პირველის გამარჯვებით.

10 ტურის შემდეგ პირველობის გაიმართების ლიდერია ნ. გიფრონდაშვილი, რომელსაც 9 ქულა და 1 გადადებული პარტია აქვს.

ირანელი მოვიდავეები ბაკოში

გუშინ ბაკოში გაიმართა საერთაშორისო ამხანაგური შეჯიბრება თაიისუფალ ჭიდაობაში ირანისა და აზერბაიჯანის ნაკრებ გუნდებს შორის. გამარჯვეს ირანელებმა ანგარიშით 4,5:3,5.

მეცხრე პარტია კვლავ გადატანილია

მოსკოვი. 5 აპრილი. (საკდესი). იმის გამო, რომ მსოფლიო ჩემპიონი მიხეილ ტალი ავადაა, მსოფლიო საჭადრაკო პირველობის მატჩ-რევანშის მეცხრე პარტია კვლავ გადატანილია.

მატჩის დებულების შესაბამისად ყოველ მონაწილეს შეუძლია ავადმყოფობის გამო გამოტოვოს სამი პარტია.

მატჩ-რევანშის შემდეგი სათამაშო დღეა 7 აპრილი.

რამდენიმე სტრიქონით

ტ. პეკინი სპორტის ახალ სასახლეში საზეიმოდ გაახსნა მსოფლიო პირველობის გათამაშება მაგიდის ჩოგბურთში. ჩემპიონატის საზეიმო ცერემონიალს 15.000-ზე მეტი მაყურებელი ესწრებოდა. ოქროს მედლების მოსაპოვებლად ერთმანეთს პირველობას ეცილებიან მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენლები, რომელთა შორის არიან საბჭოთა სპორტსმენები, ასევე შეჯიბრებაში ჩვენი ქვეყნის მაგიდის ჩოგბურთელები პირველად გამოდიან. ოქროს მედლებისათვის მებრძოლთა რიცხვმა 200-ს გადააჭარბა.

ტ. ქიევი დინამოელებმა სსრ კავშირის XXIII ჩემპიონატის წინ ტურნე გამართეს პოლონეთში. უკანასკნელი, მესამე მატჩი საბჭოთა ფეხბურთელებს ჰქონდათ პოლონეთის ჩემპიონატის ერთერთ ლიდერთან ცნობილ საკლუბო გუნდთან „გურნიკთან“. დინამოელთა შემადგენლობაში იყვნენ მაკაროვი, შჩერბაკოვი, კოლეოვი, მენშიკოვი, ვოინოვი, საბო, ბაზილევიჩი, სერებრიანიკოვი, ლობანოვსკი, კანევსკი და ზაიცევი. მატჩი ხასიათდებოდა შეუპოვარი ბრძოლით და დამთავრდა ფრედ 3:3.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სასამართლოს დარბაზიდან

ნამგლეჯებს საკადრისი მიეზღოთ

ფრუნზე, 4 აპრილი. (საკდესი). წამგლეჯი მ. ს. ოგული, რომელიც მუშაობდა ჯეკი-ოლუზის რაიონის კოლმეურნეობა „კომუნიზმის“ თავმჯდომარედ, მხილებულია. მრავალი წლის მანძილზე, მოხტრეხა რა ადამიანთა ნდობის მოპოვება, იგი იტაცებდა საზოგადოებრივ დოვლათს. ოგულ თვალისაბეგვას ეწყობოდა, ჭქნილი შთაბეჭდილებას თითქოს მეურნეობაში ყველაფერი რიგზე იყო. მარტო ერთ წელიწადში გარეთ შეიძინეს ას ცენტნერზე მეტი მატყლი, რათა მერე იგი სახელმწიფოსათვის მიეყიდათ. ამას სრადიოდნენ იმისათვის, რომ დამატებითი ანაზღაურება მიეღოთ ნაპარსის გეგმის „გადაჭარბებით შესრულებისათვის“. ახალგაზრდებში რამდენიმე ათეულ ათას ლიტრ რძეს ყალბად აჩვენებდნენ, ფარავდნენ სასურსათო და საკვები კულტურების მცირე მოსავლიანობას. კოლმეურნეობას დაახლოებით 200 ათასი მანეთი ზარალი მიაყენეს.

რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს გამსვლელმა კოლეგიამ მ. ს. ოგულს დანაშაულებრივი საქმიანობისათვის მიუსაჯა თავისუფლების აღკვეთა თორმეტი წლით. საკადრისი მიეზღოთ მის თანამზრახველებსაც.

საქართველოს მონადირეთა მეექვსე ყრილობა

„ავიტატორის ბლოკნოტი“ № 7

გამოვიდა „ავიტატორის ბლოკნოტი“ № 7. ჟურნალში გაითვალისწინებულია შემდეგი მასალები: პლენუმის გადაწყვეტილებანი ახალი სასახლო საქმეებისაკენ მოგვიწოდებს, ამხანაგო ავიტატორებო! დიდი ლენინის ძღვნამოსილი დროშაო; **ა. კორშია** — სამრეწველო საწარმოებმა უკეთ რომ იმუშაონ; **ა. ალლოთია** — ავიტატორები აკლენენ და მოკვედებაში მოჰყავთ სიმინდის წარმოების გადიდების რეზერვები; **გ. გეგუჩაძე** — ჩაის ფოთლის კრეფის ჯადოქარი და სხვ.

დაბა ლაგოდეხი ლამაზია თავისი მიდამოებით. მას თავს დასდგომიან ცამდე აზიდული კავკასიონის მთები, რომელთა კალთები შემოსილია ულრანი ტყეთ, ფერდობებზე და ღრანტეებში უხვად მოედინება ნაკადულები და წყაროები.

ბუნების ამ იშვიათ სილამაზეში ბევრია გარეული ფრინველი და ნადირი. ზევით, ჭიუხებში, დანავარდობენ ჯიხვები, ირმები და სხვ.

ყოველივე ეს ნაკრძალ ზონად არის გამოცხადებული, მაგრამ ჯერ კიდევ არიან ბოროტი ადამიანები, რომლებიც ბრაკონიერობენ ნაკრძალში. აი ამას წინათაც სოფელ გურგენიანში მცხოვრებნი ვასილ გელაშვილი, შოთა ტოროშელიძე და მიხეილ შაორშაძე ქურდულად შეიპარნენ ნინიგორის ხევის სათავეებში.

თოფმა იჭექა...

„მონადირეებს“ ბევრი ხეტიალი როდი დასჭირდათ. გასცდნენ თუ არა ტყის ზოლს, გოხნარში ჯიხვების ჯოგი შენიშნეს: მთის შვილი ამაყად გადმომდგარიყო მაღალი ტინის თავზე და ლაღად გასცქეროდა ქვევით ალაზნის გაშლილ ველს.

უცებ თოფმა იჭექა, ჯიხვი ტინს მოსწყდა და ქვევით დაეშვა თავდაყირა, ხრამში ჩაიჩეხა.

მალე ნაკრძალის მეთვალყურეები გ. ხეხიტაშვილი და ვ. სობაევი თავს წაადგნენ ბრაკონიერებს, აქცი შეუდგინეს და რაიონის პროკურატურას გადასცეს.

ლაგოდეხის რაიონის სახალხო სასამართლომ გაარჩია ბრაკონიერების ვ. ი. გელაშვილის, შ. ხ. ტოროშელიძისა და მ. ბ. შაორშაძის საქმე. თვითეულ მათგანს მიესაჯა დანაშაულისამებრ. მათვე დაეკისრათ სახელმწიფო ნაკრძალისათვის მიყენებული ზარალის ანაზღაურება — სამივეს 200 მანეთი (ახალი ფულით).

ა. ვაიტაძე,
ლაგოდეხის რაიონის პროკურორი.

„კომუნისტის“ შემდეგი ნომერი გამოვა შაბათს, 8 აპრილს.

რედაქტორი
დ. მჭედლიშვილი.

6 აპრილი

თეატრები: ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის — მიჩიგანის უნივერსიტეტის (აშშ) ფილარმონიული სასულე ორკესტრი, რუსთაველის სახელობის — ბახტრიონი, მარჯანიშვილის სახელობის — ორი ფერი.

ტელევიზია: 12.00 — მხატვრული ფილმი „ქურდბაცაცა კაკაკი“, 18.00 — უფროსკლასელთათვის — კომკავშირული აქტივისტები სტუდიაში, 18.15 — მოკლემეტრაჟიანი ფილმი, 18.25 — ჩვენი თეატრი (ოქტომბრის რაიონის მოსწავლეთა თეატრი სტუდიაში), 19.00 — კინონარკეევი, 19.30 — პასუხი ტელემაყურებელთა შეკითხვებზე, 19.50 — კონცერტი, 20.20 — ახალი ამბები, 20.35 — ახალი მხატვრული ფილმი „გმირის ძმა“.

„ბურევესტნიკის“ სტადიონი (ვაკე) 8 აპრილს

ფეხბურთი

სსრ კავშირის პირველობის გახსნა „ა“ კლასის გუნდებს შორის „დინამო“ (თბილისი)—„ადმირალტეეცი“ (ლენინგრადი) დასაწყისი 16 ს. 30 წ.

ბილეთების წინასწარი გაყიდვა იწარმოებს 6 აპრილს საღამოს 5 საათიდან „ბურევესტნიკისა“ და „დინამოს“ სტადიონების სალარობში.

ჩვენი მისამართი და ტელეფონები:

თბილისი, ლენინის ქ. № 14, ტელეფონები: რედაქტორის მოადგილეების — 8-63-03, 8-82-05, პასუხისმგებელი მდივნის — 8-72-80, სამდივნოსი — 8-81-65, განყოფილებებისა: პარტიული ცხოვრების და საბჭოთა მშენებლობის — 8